

დანართები # 2



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის  
შესახებ

ხელოვნების ისტორია და თეორია (საბაკალავრო პროგრამა), ქართული ხელოვნების ისტორია  
(ძველი და თანამედროვე ხელოვნება) (სამაგისტრო პროგრამა), სახელოვნებათმცოდნეო  
კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია) (სადოქტორო პროგრამა)

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღი: 2023 წლის 26-27 ივლისი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 12 ოქტომბერი

თბილისი, 2023 წელი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან .....	14
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	14
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა.....	41
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....	55
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	60
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები .....	79

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სარა ბენეტი, კინგსტონის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო; და EQ Arts, ნიდერლანდები.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა თურმანიძე, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლევან სილაგაძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ბერიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი ექსპერტი).

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნების ისტორია და თეორია	ქართული ხელოვნების ისტორია (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება	0213 სახვითი ხელოვნება	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS	120 ECTS	სასწავლო კომპონენტი - 50 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული	ახალი	ახალი

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ<sup>2</sup>  
შესახებ

- ხელახალი აკრედიტაციისთვის წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი შედგება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის/ სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სამი საგანმანათლებლო პროგრამისგან, რომელთაგან ერთი არის საბაკალავრო, ერთი სამაგისტრო და მესამე სადოქტორო. ყველა მათგანი მიეკუთვნება რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტს. მართლია ყველა პროგრამა ქართულ ხელოვნებაზე ორიენტირებული, მაგრამ თითოეული მათგანი, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქრონოლოგიაზე და საქართველოს საზღვრებს მიღმა არსებული ხელოვნების კონტექსტზე. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მსოფლიო და ქართული ხელოვნების საფუძველს და ეს პროგრამა 2011 წლის წინა აკრედიტაციის შემდეგ შეიცვალა ამ ხელახალი აკრედიტაციისთვის. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამა მიმართულია კონკრეტულად ქართულ ხელოვნებაზე (ძველი და თანამედროვე), პარალელური მასალისა და შედარებითი ანალიზის ჩათვლით და ახალ პროგრამაში ორ ყოფილ სამაგისტრო პროგრამას აერთიანებს. წინა სამაგისტრო პროგრამები მოიცავდა, შესაბამისად, შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას, ახალ და უახლეს ქართულ ხელოვნებას. ეს ორი სამაგისტრო პროგრამა ბოლოს 2012 წელს იყო აკრედიტებული. სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა ასევე შეცვლილია. კერძოდ, მინისტრის #3 ბრძანებით ამოღებულია კონცენტრაციები შუასაუკუნეების ქართულ ხელოვნებასა და ახალ და თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, რათა დოქტორანტებმა გააგრძელონ კვლევა საკუთარ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, კონცენტრაციის გარეშე.
- დაწესებულებაში ვიზიტის წინ, რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. შემდეგ ისინი ორჯერ შეხვდნენ: ჯერ 2023 წლის 12 ივლისს გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, შემდეგ კი 2023 წლის 19 ივლისს, სადაც მომდევნო კვირაში დაგეგმილი ვიზიტისთვის ძირითადი საკითხები და კითხვები განიხილეს და მოამზადეს. ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი კითხვები აიტვირთა ონლაინ დღის წესრიგში.
- საბაკალავრო პროგრამის მონაცემები: 2022/23 წლებში ჩარიცხული იყო 86 სტუდენტი; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 13; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 3; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 13.
- სამაგისტრო პროგრამის მონაცემები: 2022/23 წლებში ჩარიცხული იყო 21 სტუდენტი; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 10; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 2; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 10.
- სადოქტორო პროგრამის სტატისტიკა: 2022/23 წლებში ჩარიცხული იყო 9 სტუდენტი; აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 11; სამეცნიერო პერსონალის რაოდენობაა 3; აფილირებული პერსონალის რაოდენობაა 11.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

<sup>2</sup> პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 26 და 27 ივლისს, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გრიბოდოვის ქ. 22, თბილისი 0108.
- ადგილზე ორდღანი ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მათ შორის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ფინანსების განყოფილების ხელმძღვანელს, აკადემიური კვლევისა და შემოქმედებითი განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს (შემდგომში მმართველი ხელმძღვანელობა); თვითშეფასების ანგარიშის გუნდს; სამივე პროგრამის ხელმძღვანელებს; აკადემიურ პერსონალს; მოწვეულ ლექტორებს; ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს; დოქტორანტებს; სამივე პროგრამის კურსდამთავრებულებს; დამსაქმებლებს; და ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს.
- ადგილზე ვიზიტის მეორე დღის შუა პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აკადემიის ობიექტები, შეამოწმა ბიბლიოთეკა და მისი მარაგი (მათ შორის ონლაინ რესურსები). სარემონტო სამუშაოების გამო ბიბლიოთეკა განთავსებულია დროებით სივრცეში, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა ის ადგილი სადაც უნდა განთავსდეს იგი სამომავლოდ. ექსპერტთა ჯგუფს აჩვენეს ერთ-ერთი საცავი, სადაც 6000 არტეფაქტის არქივია განთავსებული, რომლებიც აკადემიის მუზეუმს წარმოადგენს და ასევე ამ არტეფაქტების ინდექსი. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა სემინარების ოთახები და აუდიტორიები.
- სამხატვრო აკადემიას აქვს ლამაზად მორთული დარბაზები, რომლებიც ახლახან ადადგინეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამების სტუდენტებმა. დათვალიერებისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ისინი გამოიყენება კონფერენციებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის, ასევე სასწავლო მიზნით და წარმოადგენს აკადემიის ისტორიულად მნიშვნელოვან და უნიკალურ არქიტექტურულ რესურსს.

### **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამივე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, საერთო ჯამში დადებითი იყო. სამივე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა სამივე პროგრამა შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან: 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. სამივე პროგრამა შესაბამისობაშია მესამე სტანდარტის მოთხოვნებთან: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა. სამივე პროგრამა შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა სამივე პროგრამა შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებთან: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

### **რეკომენდაციები**

1.5.1 რეკომენდებულია აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალთ გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. რუსული).

4.5.1 რეკომენდებულია ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.

4.5.2 რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

## **პროგრამა 1**

1.4.1 რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიტანოს აკადემიური ესეები თავის ზოგიერთ სილაბუსში და ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. შეაფასოს; შეფასება უნდა მოიცავდეს სტუდენტების მიერ გამოყენებული წყაროების მითითების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას.

## **პროგრამა 2**

1.1.2 რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის pdf დოკუმენტის ხელახალი შედგენა პროგრამის მიზნების (გვ.4) მკაფიოდ დასახელებული ნუსხით, რათა ისინი მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციასა და ინტერდისციპლინურობას, რაც სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება.

## **პროგრამა 3**

1.1.4 რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის pdf დოკუმენტის 1.1 ნაწილი (გვერდები 4-5) გადაიხედოს, მასში შევიდეს პროგრამის მიზნების მკაფიო ჩამონათვალი, რათა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას.

## **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

2.2.1 სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.

2.4.1 შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.

3.1.1 რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და საველე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.

4.4.1 მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.

5.2.1 სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

## **პროგრამა 1**

1.1.1 სასურველია, რომ ფრაზა „გამოიყენება სამუშაო სფეროში დასაქმებისთვის“ დაემატოს საბაკალავრო პროგრამის მე-5 მიზანს, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაზე.

1.4.2 სავარაუდოდ, ერთ სემესტრში 3ECTS მოდულების დიდი რაოდენობა მეტი დატვირთვაა სტუდენტებისთვის, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს მათთან, ამგვარად შემოწმდება, რამდენად უმკლავდებიან სტუდენტები ამ დატვირთვას.

## **პროგრამა 2**

1.1.3 მიზანშეწონილია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე აქცენტის გასაკეთებლად, შემდეგი სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეიცვალოს შემდეგნაირად: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეები, შუა საუკუნეების და თანამედროვე ქართული ხელოვნების კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ როლსა და ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და შეძლებენ დასაქმდნენ სამუშაო სფეროში.“

## **პროგრამა 3**

1.1.5 სასურველია ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კარიერული არჩევანის ფართო სპექტრის ხაზგასასმელად, სადოქტორო პროგრამის მიზანი ხელოვნების კრიტიკის შესახებ გაფართოვდეს და დაფაროს „კულტურის სექტორის სხვა საექსპერტო კარიერები“.

1.4.3 სტუდენტების შესაძლებლობების შემდგომი გაზრდის მიზნით სასურველია დოქტორანტურის პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის მეტი შესაძლებლობების შეთავაზება.



- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>

2019 წლიდან, ევროკომისიის თანადაფინანსებითა და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პარტნიორობით, აკადემიაში ხორციელდება პროექტი "PROFFORMANCE შეფასების ინსტრუმენტი და ინტენსიური სისტემები უმაღლესი განათლების მასწავლებელთა მუშაობის განვითარებისთვის" (პროექტის ვებგვერდი - <https://profformance.eu/>). პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების ინსტრუმენტისა და წახალისების სისტემის შემუშავებას. აღნიშნული პროექტი ევროპის 6 ქვეყანაში ხორციელდება, პროექტის ჯგუფმა უკვე შეიმუშავა უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლებაში ჩართული პერსონალისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტის საწყისი ვერსია, რომლის გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში. პროექტის მიმდინარე ეტაპზე იგეგმება ამ ინსტრუმენტის პილოტირება. აკადემია ჩართულია აღნიშნული პროექტის პილოტირების პროცესში და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ საპილოტო პროექტის შედეგად ისეთ სისტემას მივიღებთ, რომელიც კარგი პრაქტიკა იქნება გაზიარების შესაძლებლობით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კარგი პრაქტიკის კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს თსსა-ს გადაწყვეტილება, მომავალში ხელი შეუწყოს დოქტორანტებს, კერძოდ მხარი დაუჭიროს დოქტორანტების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსებით ან საერთაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებით.

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია რომ უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფი დაეთანხმას (ძირითადად) დასკვნის პროექტში მოცემულ მიგნებებს. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს მათ, კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ასევე მოხარულია, რომ თსსა-ს სამუშაო ჯგუფისგან გულწრფელი მადლობა მიიღოს. ექსპერტთა ჯგუფის დამატებითი კომენტარები:

### რეკომენდაციები 1.1.2 და 1.1.3

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის სამუშაო ჯგუფს ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების ტექსტის შესწორებისთვის რომელიც მოიცავს ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას. ჯგუფი აღნიშნავს, რომ ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის PDF დოკუმენტის მეოთხე გვერდზე კვლავ საჭიროა პროგრამის კონკრეტული მიზნების ჩამოთვლა, რადგან ეს წარმოადგენს პროგრამის ხერხემალს. ეს ფართო საზოგადოებას,

<sup>3</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

სხვა დაწესებულებებს, ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებსა და მასწავლებლებს მიაწვდის ინფორმაციას, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას; ამასთან, ინტერნაციონალიზაცია და ინტერდისციპლინურობა დადგენილი იქნება, როგორც სამაგისტრო პროგრამის მიზნები, რომლებიც შემდეგ განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაერთიანებინა რეკომენდაციები 1.1.2 და 1.1.3 ერთ რეკომენდაციად (1.1.2): რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის pdf დოკუმენტის ხელახალი შედგენა პროგრამის მიზნების (გვ.4) მკაფიოდ დასახელებული ნუსხით, რათა ისინი მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციასა და ინტერდისციპლინურობას, რაც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს.

### **რეკომენდაციები 1.1.5 და 1.1.6**

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს აწ უკვე გაწეულ და მიმდინარე შრომას დოქტორანტების საერთაშორისო გამოცდილების უზრუნველყოფის მიმართულებით; ამ კუთხით მუშაობა გამოჩნდა ადგილზე ვიზიტის დროს, რაც ასევე დაამოწმა უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციებში. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ექსპერტები, რომ ეს პუნქტი აკლია პროგრამის მიზნებს. ანალოგიურად, ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ სადოქტორო კვლევის მეთოდების სწავლება ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ მიდგომას და რომ ეს ამჟამად ნახსენებია ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოკუმენტის 1.1.- ნაწილში, თუმცა ეს არ არის წარმოჩენილი როგორც პროგრამის მიზანი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის PDF დოკუმენტის მე-4-მე-5 გვერდებზე (ნაწილი 1.1.) კვლავ საჭიროა პროგრამის კონკრეტული მიზნების ჩამოთვლა, რადგან ეს წარმოადგენს პროგრამის ხერხემალს. ეს ფართო საზოგადოებას, სხვა დაწესებულებებს, ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებსა და მასწავლებლებს მიაწვდის ინფორმაციას, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას; ამასთან, ინტერნაციონალიზაცია და ინტერდისციპლინურობა დადგენილი იქნება, როგორც სადოქტორო პროგრამის მიზნები, რომლებიც შემდეგ განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაერთიანებინა რეკომენდაციები 1.1.5 და 1.1.6 ერთ რეკომენდაციად (1.1.4): რეკომენდებულია, რომ ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის pdf დოკუმენტის 1.1 ნაწილი (გვერდები 4-5) გადაიხედოს, მასში შევიდეს პროგრამის მიზნების მკაფიო ჩამონათვალი, რათა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას.

გარდა ამისა, ვაღიარებთ რა აკადემიის გადაწყვეტილებას, რომ ხელი შეუწყოს ამჟამინდელ და მომავალ დოქტორანტებს საერთაშორისო კონტექსტში, კერძოდ მხარი დაუჭიროს დოქტორანტების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსებით ან საერთაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული ფაქტი დაემატოს კარგი პრაქტიკების განყოფილებას.

### **რეკომენდაცია 1.5.1**

როგორც აკადემიის არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, ბოლო წლებში განხორციელდა პროექტები, დარგობრივი ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის მიზნით. თუმცა, ეს აქტივობები პირდაპირ კავშირში არ არის რეკომენდაციასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშვნა გამოთქვა იმ საკითხავ მასალებზე, რომელიც სავალდებულო ლიტერატურად არის შეტანილი ამ კლასტერის პროგრამების კურსების ფარგლებში. მართალია, ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ აკადემია იღებს გარკვეულ ზომებს, თუმცა ამ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით კვლავ რჩება გასაკეთებელი საქმე; ამიტომაც, მოცემული რეკომენდაცია რჩება უცვლელად.

### **რეკომენდაციები 4.5.1 და 4.5.2**

აკადემია ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციებს და საუბრობს სამომავლო გეგმებსა და აქტივობებზე. ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს აქტივობებს, რომლებიც სამომავლოდ არის დაგეგმილი. აღნიშნული რეკომენდაციები რჩება უცვლელად.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2. კლასტერული შეფასება<sup>5</sup>

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
<b>4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა</b>	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი</b>	

<sup>5</sup> შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ – აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თსა) პირველი სამხატვრო დაწესებულებაა საქართველოში და მთელ კავკასიის რეგიონში. უნივერსიტეტი (შემდგომში აკადემია) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ხელოვნებისა და კვლევითი მიმართულებების განვითარებაში და აქტიურად ჩაერთო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურული სტრატეგიის 2024“ შემუშავებაში. ამასთან და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერთან დაკავშირებით, აკადემიის პრიორიტეტს წარმოადგენს ხელოვნების ისტორიის დარგის სპეციალისტების გადამზადება კულტურული და მემკვიდრეობის სექტორის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; ამ პრიორიტეტს ახორციელებს რესტავრაციის/ კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტმა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამი სასწავლო საფეხურის ერთ კლასტერში გაერთიანება გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტი ასევე ემსახურება ხელოვნების ისტორიასა და თეორიას აკადემიის სხვა ფაკულტეტების პრაქტიკაზე დაფუძნებულ პროგრამებში: სახვითი ხელოვნება, დიზაინი; არქიტექტურა; მედია ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაკულტეტების სტუდენტებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისგან ცალკე ასწავლიან, ხელოვნების სხვა დისციპლინების სიახლოვე საშუალებას აძლევს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სტუდენტებს ისწავლონ და გამოიკვლიონ იმ სტუდენტებთან ერთად, რომლებიც აწარმოებენ არტეფაქტებს. ეს უკანასკნელი შემდგომში ხელოვნების ისტორიული კვლევის საგანი ხდება, ან გამოაქვთ თანამედროვე ხელოვნების გამოფენებზე/ პროექტებში. ამით ხდება აკადემიის ფაკულტეტებს შორის უწყვეტი ურთიერთობისა და სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ექსპერტთა გუნდი დადებითად აფასებს აკადემიის თვითშეფასების ანგარიშს და მისი დაწერის ინკლუზიურ პროცესს, ასევე კლასტერის ხედვის შემდგომ განვითარებას - მათ შორის ორი სამაგისტრო პროგრამის შერწყმას და არსებული საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების შეცვლას. შეხვედრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის მიზნებს იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები.

კლასტერის საერთო მიზანია ხელოვნების ისტორიის, როგორც სამეცნიერო დარგის შემდგომი განვითარება საქართველოში; ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სამივე პროგრამას ეს მიზანი აერთიანებს; სწავლის შედეგებში აისახება სტუდენტების თანდათანობითი და მკაფიოდ სტრუქტურირებული განვითარების გზა ბაკალავრიატიდან მაგისტრატურის გავლით დოქტორანტურამდე, რაც გულისხმობს ქართული ხელოვნების საბაზისო და სპეციალიზებული ცოდნის, გააზრებისა და ანალიზის შექმნას მსოფლიო ხელოვნების (უძველესი, ახალი და თანამედროვე) კონტექსტში, ღრმა, დამოუკიდებელი და ორიგინალური კვლევის გზით. კლასტერი მიზნად ისახავს სტუდენტებს ხელოვნების ისტორია გააცნოს, როგორც სფერო თავისი საკვლევი საგნითა და საკვლევი მეთოდებით; ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს მიზანი სამივე პროგრამის მიზნებშია ასახული. აკადემიას აქვს 6000 არტეფაქტისგან შემდგარი კოლექციის რესურსი, რაც ხელს უწყობს კონკრეტული საგნის კვლევის მეთოდების შემუშავებას.

კლასტერის შემდგომი საერთო მიზანია თანმიმდევრულობა და შესაბამისი დონის საერთო განვითარება და სტუდენტის, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბება, და ამ მიზნით, ადგილზე ჩატარებული შეხვედრების დროს, განსაკუთრებით დამსაქმებლებთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ხელოვნების ისტორიის ამ პროგრამებში აშკარად არის გათვალისწინებული ბალანსი პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეების შემდეგი თაობის მომზადებასა და ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას შორის, რომელთა უნარები შეესაბამება ადგილობრივი კულტურული და მემკვიდრეობის სექტორის მოთხოვნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოდნა, გაგება და კრიტიკული, ანალიტიკური, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტები იძენენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე, იგივე თვისებებია, რასაც სექტორი მოითხოვს, მაგალითად, ახლად კვალიფიცირებული ხელოვნების ისტორიკოსის, კურატორის, ან მასწავლებლისგან (აუცილებელია მასწავლებლის კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს 60 კრედიტიან სასწავლო კურსს და/ ან გამოცდის ჩაბარებას - მაგრამ დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია ასწავლოს იმის საფუძველზე, რომ დოქტორია). მართალია, სექტორის სპეციალისტების, მათ შორის კურატორების, მუზეუმების ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ჩართვა კლასტერის შემუშავებაში კონსულტაციებისა და კითხვარების მეშვეობით, უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს სამუშაო სფეროს, მაგრამ მიზანი განავითაროს სტუდენტი, როგორც პროფესიონალი, რომელიც მზად არის გადავიდეს პროფესიონალურ სფეროში, არ არის დამაჯერებლად ასახული საერთო პროგრამის მიზნებში. დადებული მემორანდუმები ნამდვილად იძლევა სამუშაო ადგილზე პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობას სტაჟირების გზით და ადასტურებს, რომ აკადემიამ და მისმა პროგრამებმა განიხილეს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ახალი კონტაქტების დამყარების აუცილებლობა, როგორც ეს სტრატეგიულ გეგმაშია მითითებული. დამსაქმებლებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია ახალი თაობის ხელოვნებათმცოდნეები ინტეგრირებულნი იყვნენ მუზეუმებში, რათა მათი კოლექციები უფრო ხელმისაწვდომი გახადონ მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, და ასევე ისაუბრეს ხელოვნების უფრო კვალიფიციური მასწავლებლების საჭიროებაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც უკვე მასწავლებლად მუშაობენ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს,

რომ კლასტერი სათანადოდ ვერ აფასებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კურსდამთავრებულთა მზადყოფნას დასაქმებისთვის და განიხილავს ამას ქვემოთ მოცემული სამივე პროგრამის მიხედვით.

კლასტერს აქვს უამრავი მტკიცებულება დარგში შეტანილი წვლილის შესახებ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევებით, გამოქვეყნებული ნაშრომებისა და კვლევითი პროექტების მეშვეობით, და ეს განმტკიცებულია კავშირით დასაქმების სფეროსთან და საპატიო კულტურულ დაწესებულებებთან მემორანდუმებით.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების განათლება, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას, არის კლასტერის მიზანი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, „მიმდინარეობს“. თანაბრად, აკადემიის განცხადებული ღირებულება, „საერთაშორისო სცენაზე საპატიო ადგილის მოპოვება“ არის მისწრაფება, რომელსაც იმ მეცნიერთა მთელი საზოგადოება იზიარებს, რომლებიც მუშაობენ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამების კლასტერზე, ვისთვისაც საერთაშორისო შესაძლებლობები და საერთაშორისო პროფილების მოპოვება ცენტრალური იქნება, რათა გააღრმავონ ცოდნა ქართული სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის შესახებ ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმა აკადემიის ვალდებულებას, რექტორის განცხადებით, ახლა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორანტები მიიღებენ დაფინანსებას თავიანთი კვლევის საერთაშორისო ფორუმებზე გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, ამას, გარკვეულწილად მივყავართ იმ ხუთი საკითხის გადაჭრასთან, რაც გამოიკვეთა სადოქტორო გამოკითხვაში, და ყველა მათგანი საერთაშორისო შესაძლებლობებს უკავშირდება. რაც შეეხება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ინტერნაციონალიზაციასა - არსებობს მტკიცებულება, რომ აკადემიამ ძალისხმევა არ დაიშურა მეტი გაცვლითი პარტნიორების ჩამოყალიბებისთვის .

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საბაკალავრო პროგრამა პროგრამა მიზნად ისახავს:**

- 'მიაწოდოს სტუდენტებს ფართო ცოდნა და ზოგადი წარმოდგენები მსოფლიო და ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპებზე (არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება და სხვა ვიზუალური ხელოვნება), ძირითად სტილსა და ხელოვნების მოძრაობებზე, მხატვრულ სკოლებზე, მათ პრინციპებზე, სტანდარტებსა და პრაქტიკაზე.
- მიაწოდოს შესავალი ინფორმაცია ხელოვნების სფეროების, ჟანრების, თანამედროვე ხელოვნების ფორმებისა და მათი სპეციფიკის, დამახასიათებელი ნიშნების შესახებ, რათა მან შეძლოს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშების სფეროსა და ჟანრის იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია;
- გააცნოს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ძირითადი ღირსშესანიშნავი ძეგლები და გამორჩეული მხატვრების შემოქმედება;
- ბაკალავრს მიაწოდოს ცოდნა ძირითადი პრინციპების, ხელსაწყოების, მხატვრული საშუალებების და მათი მხატვრული მეთოდების გამოყენების შესახებ (ფორმალური ანალიზი, ფორმის შედარებითი ანალიზი, იკონოგრაფია და იკონოლოგია);
- ასწავლოს ადგილზე მუშაობის კომპლექსური კონცეფციები კულტურული მემკვიდრეობის სტრუქტურების ფართო სპექტრში: (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურული მენეჯმენტი, ხელოვნების ბაზარი, მედია და ა.შ.);



- ასწავლოს სამუშაო ინსტრუმენტების შესახებ: აღწერილობითი ანალიზის, შედარებითი მიდგომის, იკონოგრაფიული და იკონოლოგიური მეთოდების გამოყენება ხელოვნების ნიმუშის/ არტეფაქტის სწორი ლექსიკით შესაფასებლად;
- შესძინოს სტუდენტს ის კომპეტენცია, რომ სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში (ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია, ესთეტიკა, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია და ა.შ.) მიღებული ცოდნის საფუძველზე, აღწეროს და განათავსოს ნამუშევარი ნებისმიერი ეპოქის გარკვეულ ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ ან სოციალურ კონტექსტში;
- საშუალება მისცეს ბაკალავრიატის სტუდენტს შეისწავლოს ხელოვნების ნიმუშები დარგში სათანადო სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით და შექმნას კვლევითი ნაშრომი/ პროექტი აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, წინასწარ შემუშავებული გაიდლაინების შესაბამისად;
- შესძინოს ბაკალავრს კომპეტენცია, დაგეგმოს და მართოს საკუთარი პროფესიონალური საქმიანობა შეძენილი სამუშაო პრინციპებისა და ეთიკის საფუძველზე;
- განუვითაროს სტუდენტს კომუნიკაციის, საუბრისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, რათა მან შეძლოს სასწავლო საკითხების ჩამოყალიბება და განხილვა პროფესიონალებთან და არასპეციალისტ პროფესიონალებთან, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენებზე; საშუალება მისცეს სტუდენტებს გამოიყენონ ყველა თანამედროვე რესურსი იმისთვის, რომ იმუშავონ და წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები;
- გააცნოს კულტურის/ ხელოვნების ღირებულებები საზოგადოებისთვის/ კაცობრიობისთვის; შესძინოს ანტიკურ, შუასაუკუნეების და თანამედროვეობის კულტურული და შემოქმედებითი პროცესების ღირებულებების შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს ნათლად გამოხატულ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებს და ადასტურებს, რომ ისინი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და სასწავლო გეგმის შინაარსს და მათი შემუშავება განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით. ისინი მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; მათი ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე ხელმისაწვდომ და საჯარო ფორმატში ქართულ ენაზე.

- საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტში ასახულია უამრავი კარიერული მიმართულება და კვლევითი საქმიანობა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთათვის და, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დამსაქმებლებისგან გაიგო, რომ სტაჟირების შესაძლებლობა ეძლევა ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებიც შემდგომში შეიძლება დასაქმდნენ იმავე დაწესებულებაში, საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი არ შეიცავს დასაქმებასთან დაკავშირებულ პროგრამის აშკარა მიზანს. ამის ახსნა თვითშესაფასების ჯგუფთან გასაუბრების დროს მოვისმინეთ - რომ, როგორც წესი, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები ნაკლებად საქმდებიან სექტორში და თვითშესაფასების ჯგუფი "ვერ ბედავს" შეიტანოს ეს პროგრამის მიზანში. თუმცა, კარიერასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარები შედის ბაკალავრიატის სწავლის შედეგებში (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურული მენეჯმენტი, ხელოვნების ბაზარი, მედია) და ამის მხარდასაჭერად, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან მათ პროფესიასთან დაკავშირებულ სფეროებში. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველია, რომ საბაკალავრო პროგრამა გადაიხედოს შემდეგნაირად „ადგილზე მუშაობის რთული კონცეფციების სწავლება კულტურული მემკვიდრეობის სტრუქტურების ფართო სპექტრში: (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურული მენეჯმენტი,

ხელოვნების ბაზარი, მედია, და ა.შ.), რაც გამოიყენება სამუშაო სფეროში დასაქმების მოსაპოვებლად“.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ლოგიკურად არის დაკავშირებული მაგისტრატურასა და დოქტორანტურასთან, ისე, რომ სასწავლო სფეროები ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს:**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტის ინგლისურ ვერსიაში მოცემული სამაგისტრო პროგრამის მიზანია „გააძლიეროს სტუდენტების ცნობიერება სახვითი ხელოვნების პროცესების შესახებ, გლობალური ხელოვნების ისტორიის ფართო სპექტრისა და ქართული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი 'სალაპარაკო ენის' კვლევის, ანალიზისა და სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით“. თვითშეფასების ანგარიშში ეს მიზანი უფრო გაფართოვდა და მოიცავს „კონკრეტული დარგობრივი და მომიჯნავე დისციპლინების კვლევის მეთოდების გამოყენებას“. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ „სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეები, შუა საუკუნეების და თანამედროვე ქართული ხელოვნების კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც აცნობიერებენ მის როლს და ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში“. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზნების სრული სია მითითებულია პროგრამის მიზნების ქართულენოვან ვერსიაში და მიაჩნია, რომ ეს კომბინირებული მიზნები და პროგრამის ამოცანები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო დონეს, განსაკუთრებით სწავლის შედეგებთან დადარებით, ჩანს თანმიმდევრული განვითარება ბაკალავრიატიდან დოქტორანტურის მიმართულებით.

გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ამჟამად მიმდინარეობს პროფესიონალურ ხელოვნებასთან, კულტურულ და მემკვიდრეობის სექტორთან კავშირების დანერგვასთან დაკავშირებული საქმიანობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც ვლინდება მიმდინარე და დაგეგმილ მემორანდუმებში; ასევე - განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების გასაცნობად. სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტი ასევე ასახავს უამრავ პოტენციურ კარიერულ მიმართულებას კურსდამთავრებულთათვის და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებით, უნდა გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის შემდეგი მიზანი: „სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შუასაუკუნეების და თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიკოსები, კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც აცნობიერებენ მის როლს და ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და შეძლებენ სამუშაო სფეროში შესაბამისი დასაქმების მოპოვებას“.

ექსპერტთა ჯგუფმა წაიკითხა ხელოვნების ისტორიის კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათის შესახებ და თვლის, რომ ეს უნდა დაემატოს პროგრამის მიზნებს, რათა აისახოს ხელოვნების ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ურთიერთობა მომიჯნავე სასწავლო სფეროებთან, რაც შემდეგში შესაბამისობაში იქნება პროგრამის სწავლის შედეგების ინტერდისციპლინარულ ბუნებასთან.

აკადემიის სტრატეგიულ გეგმაში (2018- 24) ინტერნაციონალიზაციისკენ მიმავალი იმპულსის გათვალისწინებით, მაგალითად, სამეცნიერო/ შემოქმედებითი აქტივობებისა და პროგრამების

ინტერნალიზაციის პროცესების ხელშეწყობა და გამოკითხვების ანალიზი, რომელშიც მაგისტრატურის სტუდენტების მიერ წამოჭრილი რვა საკითხიდან ხუთი ეხება საერთაშორისო საკითხებს, ექსპერტთა ჯგუფი ექვეყნებ აყენებს საერთაშორისო შესაძლებლობებზე მითითების გამოტოვებას (მაგალითად, გაცვლა, საერთაშორისო ვიზიტები ან საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრება) სამაგისტრო პროგრამის მიზნებში და რეკომენდაციას უწევს მის ჩამატებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ, ძირითადად, პროგრამის მიზნები და ამოცანები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმის შინაარსს და შემუშავებულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით, არის რეალისტური და მიღწევადი. მათი ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომ და საჯარო ფორმატში.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს:**

- „ქართული ხელოვნების ტენდენციებისა და ისტორიული ფაზების ფართო კონტექსტში შესწავლა;
- ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ტენდენციებისა და ისტორიული ფაზების გაანალიზება მისი ისტორიის მანძილზე, სხვა შემოქმედებით მოძრაობებთან კავშირების დამყარება და შემდგომში ქართული ხელოვნების მნიშვნელობის ჩვენება;
- მიმდინარე სამეცნიერო ტექნიკის კრიტიკული გააზრება და შემოქმედებითი სტრატეგიების დანერგვა ახალი, მაღალი ხარისხის ცოდნის მისაღებად;
- მიმდინარეობით გამოკვეთილი კვლევის საკითხების იდენტიფიცირება და გადაწყვეტილებების ფორმულირება;
- მეცნიერ-მკვლევარისა და მასწავლებლის აღზრდა უმაღლესი სასწავლებლის გარემოში, რომელიც ერთგულად მოიპოვებენ ახალ ინფორმაციას და შეგროვებულ ცოდნას გადასცემენ მომავალ თაობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ზემოაღნიშნული პროგრამის მიზნები ოდნავ განსხვავებულად არის ფორმულირებული, თუმცა იგივეს ემსახურება.

გარდა ამისა, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში ნათქვამია, რომ აკადემიის რესტრუქციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი შესაბამის პირობებს შეუქმნის დოქტორანტს კვლევის ჩასატარებლად, რათა შეასრულოს სადოქტორო პროგრამის სამუშაოსთან დაკავშირებული შემდეგი ორი მიზანი:

- 'დაეხმაროს დოქტორანტს იმ ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში, რომელიც აუცილებელია მისი როგორც მეცნიერის, მკვლევარის და პედაგოგის წარმატების მისაღწევად;
- დაეხმაროს სტუდენტს შეიძინოს კრიტიკული აზროვნების უნარი, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ იგი გახდეს ექსპერტი ხელოვნებათმცოდნე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ეს დადგენილი მიზნები რეალისტური და მისაღწევადია, და სავსებით შეესაბამება საგანმანათლებლო დონეს, და სწავლის შედეგებთან დადარებით, ჩანს თანმიმდევრული განვითარება მაგისტრატურიდან დოქტორანტურამდე, სამეცნიერო კვლევასა და ახალი ცოდნის შექმნამდე. მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამის

მიზანი 'მოამზადოს პედაგოგი' შეესაბამება საგანმანათლებლო სფეროს მოთხოვნებს საშუალო საფეხურზე ხელოვნების მასწავლებლების გაზრდილი რაოდენობის შესახებ და ეს დადასტურდა დამსაქმებლებთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე. პროგრამის კიდევ ორი მიზანი, რომელიც მიუთითებს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის მომავალ დასაქმებაზე, ეხება უბრალოდ სტუდენტის მიერ იმ ცოდნისა და გამოცდილების შეძენას, რომელიც აუცილებელია მისი როგორც მეცნიერის, მკვლევარისა და პედაგოგის წარმატებისთვის, და სტუდენტის მიერ კრიტიკული აზროვნების უნარების შეძენა, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ იგი გახდეს ექსპერტი ხელოვნებათმცოდნე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რჩევით, ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კარიერული მასშტაბის დასაფარად, პროგრამის მიზანი სამუშაო სფეროს შესახებ შეიძლება გაფართოვდეს შემდეგნაირად: „კულტურულ სექტორში სხვა საექსპერტო კარიერები“.

ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს იმას, რომ აკადემიამ უარი თქვა კონცენტრაციებზე და დოქტორანტებს შეუძლიათ აირჩიონ კვლევის სფერო სადოქტორო პროგრამის მოსალოდნელი კვლევის სფეროებიდან, მათ შორის თანამედროვე საკითხები სხვადასხვა ეპოქის ქართული ხელოვნების ყველა ასპექტი, არქიტექტურის, სახვითი და პრაქტიკული ხელოვნების, ნიმუშების, შემქმნელების ჩათვლით, და მხატვრული მოძრაობების თეორია და ისტორია. ექსპერტთა ჯგუფი გვირჩევს, რომ დოქტორანტურის დონეზე ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების შემუშავება უნდა დაემატოს პროგრამის მიზნებს, რათა აისახოს მისი ჩართვა პროგრამის სწავლის შედეგებში.

იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიის სტრატეგიულ გეგმაში (2018-24) არის ინტერნაციონალიზაციისკენ მიმართული იმპულსი, მაგალითად, სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობებისა და პროგრამების ინტერნალიზაციის პროცესების ხელშეწყობა და კვლევების ანალიზი, რომელშიც დოქტორანტების მიერ წამოჭრილი ხუთივე საკითხი ეხება საერთაშორისო საკითხებს, ექსპერტთა ჯგუფი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს (მაგალითად, საერთაშორისო გაცვლა/ პროექტები/ ვიზიტები, საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრება ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება) დოქტორანტურის პროგრამის მიზნებში და გირჩევთ, რომ ეს დაემატოს პროგრამის მიზნებს, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა პროგრამის სწავლის იმ შედეგებთან, რომელიც მიუთითებს საერთაშორისო სწავლისა და კვლევის კონტექსტზე, ასევე აკადემიის სტრატეგიულ მიმართულებებზე.

სადოქტორო პროგრამის მიზნები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომ და საჯარო ფორმატში.

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრებები მმართველ ჯგუფთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- მისია, ხედვა და ღირებულებების დებულება: <https://art.edu.ge/aceng/index.php?do=cat&category=1-2> [accessed 26.7.23]
- სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.

- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტი
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის დოკუმენტი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ანგარიშის ბარათი - გამოკითხვების ანალიზი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:**

1.1.1 სასურველია, რომ ფრაზა „გამოიყენება სამუშაო სფეროში დასაქმებისთვის“ დაემატოს საბაკალავრო პროგრამის მე-5 მიზანს, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაზე.

**პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7**

**რეკომენდაციები:**

1.1.2 რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის pdf დოკუმენტის ხელახალი შედგენა პროგრამის მიზნების (გვ.4) მკაფიოდ დასახელებული ნუსხით, რათა ისინი მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციასა და ინტერდისციპლინურობას, რაც სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება.

**რჩევები:**

1.1.3 მიზანშეწონილია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე აქცენტის გასაკეთებლად, შემდეგი სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეიცვალოს შემდეგნაირად: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეები, შუა საუკუნეების და თანამედროვე ქართული ხელოვნების კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ როლსა და ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და შეძლებენ დასაქმდნენ სამუშაო სფეროში.“

**პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, საფეხური 8**

**რეკომენდაციები:**

1.1.4 რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის pdf დოკუმენტის 1.1 ნაწილი (გვერდები 4-5) გადაიხედოს, მასში შევიდეს პროგრამის მიზნების მკაფიო ჩამონათვალი, რათა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას.

**რჩევები:**

1.1.5 სასურველია ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კარიერული არჩევანის ფართო სპექტრის ხაზგასასმელად, სადოქტორო პროგრამის მიზანი ხელოვნების კრიტიკის შესახებ გაფართოვდეს და დაფაროს „კულტურის სექტორის სხვა საექსპერტო კარიერები“.

**შეფასება<sup>6</sup>**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნე ო კვლევები , საფეხური 8	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<sup>6</sup> შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ხელოვნების ისტორიის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განხორციელდა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესების შესაბამისად და მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერი მონაწილეობს უმაღლესი სასწავლებლების ეროვნულ ჯგუფში, რომელიც ავითარებს დარგობრივ მახასიათებლებს ხელოვნების ისტორიის სფეროსთვის, და რომ ისინი გამოიყენეს კლასტერის პროგრამული სწავლის შედეგების განვითარების პროცესში. ისინი ასევე შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სასწავლო დარგის კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერებულია პროფესორებისა და აკადემიური პერსონალის მდიდარი გამოცდილებით. გარდა ამისა, თვითშეფასების გუნდში ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის ჩართვის შედეგად მივიღეთ პროგრამის სწავლის შედეგების ერთი ახალი და ორი შესწორებული კომპლექტი, რაც ასახავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კურსდამთავრებულთა განათლების შესახებ თავდაჯერებულ და საერთო ხედვას მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

პროგრამის სწავლის შედეგების სამივე დონის გაცნობისას, ექსპერტთა გუნდმა შეამჩნია თანდათანობითი განვითარება სასწავლო სფეროს სირთულის, კომპლექსურობისა და შინაარსის თვალსაზრისით, რაც თანმიმდევრულია და ვითარდება შესაბამისი დონეების გათვალისწინებით, სტანდარტის მოთხოვნის თანახმად. პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად ემთხვევა პროგრამის მიზნებს როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, მაგრამ რამდენიმე დამატებითი ამოცანა მეტ შესაბამისობას მოგვცემდა, როგორც ეს აღნიშნულია ქვესტანდარტში 1.1.

აკრედიტაციისთვის შემოთავაზებულ მანიფესტაციაში კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრამებმა თავიანთი ცალკეული პროგრამების სწავლის შედეგები შეიტანეს სამი განსხვავებული ასპექტი, რომელთა მიხედვით კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს არსებითი ცოდნა, ანალიზი და ხელოვნების ისტორიის კომპეტენციები, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არსებითია საქართველოში ხელოვნების ისტორიის სფეროს სამომავლო მდგრადობისთვის. ეს ასპექტებია: სამუშაო ადგილის მზაობა (BA, MA და PhD), ინტერნაციონალიზაცია (MA და PhD) და დისციპლინათმორისობა (MA და PhD).

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)

ბაკალავრიატის პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგია:

1. „ბაკალავრი ავლენს მსოფლიო და ქართული ხელოვნების (არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება და სხვა ვიზუალური ხელოვნება) განვითარების ეტაპების, ხელოვნების ძირითადი სტილების, მხატვრული სკოლების, ტენდენციების, მათი მახასიათებლებისა და მხატვრული მიმართულებების ფართო ზოგად ცოდნას;
2. ბაკალავრი იცნობს ხელოვნების სფეროებს, ჟანრებს, თანამედროვე ხელოვნების ფორმებს და მათ სპეციფიკას, დამახასიათებელ ნიშნებს; ამის საფუძველზე იგი გამოყოფს და აჯგუფებს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშების სფეროსა და ჟანრს;
- 3 ბაკალავრი იცნობს სხვადასხვა პერიოდის ღირსშესანიშნავ ძეგლებს და კონკრეტული მხატვრების შემოქმედებას;
- 4 ბაკალავრი ფლობს ხელოვნების ისტორიის მეთოდების ძირითად პრინციპებს, ინსტრუმენტებს, მხატვრულ საშუალებებს და მათ ფუნქციებს (ფორმის ანალიზი, ფორმის შედარებითი ანალიზი, იკონოგრაფია და იკონოლოგია);
5. ბაკალავრი ფლობს ზოგად ინფორმაციას ხელოვნების ისტორიის პრაქტიკულ დარგებზე (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და დაცვა, კულტურული მენეჯმენტი, ხელოვნების ბაზარი, მედია და ა.შ.);
6. ბაკალავრს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ნაწარმოების აღწერა-ანალიზის, შედარებითი, იკონოგრაფიული და იკონოლოგიური ანალიზის მეთოდები ხელოვნების ნიმუშის/ არტეფაქტის შესწავლა-შეფასების მიზნით, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
7. მიღებული ცოდნის საფუძველზე ბაკალავრი სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინაში (ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია, ესთეტიკა, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია და ა.შ.) აღწერს ხელოვნების ნიმუშების ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ ან სოციალურ კონტექსტს და ათავსებს კონკრეტულ ნიმუშს/არტეფაქტს ან ხელოვანის შემოქმედებას ამა თუ იმ ეპოქის კონტექსტში;
8. დარგში დამტკიცებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ბაკალავრი შეისწავლის ხელოვნების ნიმუშებს და წინასწარ განსაზღვრული გაიდლაინების შესაბამისად შექმნის წერილობით კვლევით ნაშრომს/პროექტს აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
9. დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს თავის პროფესიონალურ საქმიანობას, იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს.
10. კომუნიკაციის უნარის მქონეს, შეუძლია პრობლემების ფორმულირება და მათი განხილვა სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ამზადებს პრეზენტაციას.



11. ბაკალავრი აცნობიერებს კულტურის/ ხელოვნების ღირებულ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში და მონაწილეობს ანტიკური და თანამედროვე ეპოქის კულტურულ- მხატვრული პროცესების ღირებულებების შეფასებაში.

12. ბაკალავრი განსაზღვრავს ნებისმიერი ფაზის, კულტურის, ცივილიზაციის ან ქვეყნის მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელობას და მის ადგილს მსოფლიო კულტურის კონტექსტში, ასევე განსაზღვრავს ქართული ხელოვნების მნიშვნელობას და მის ადგილს მსოფლიო კულტურის სივრცეში“.

ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში გაწერილი კრიტერიუმებით და ასახულია სასწავლო მოდულებში.

პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპებზე და შეძლებს დამოუკიდებლად გამოიყენოს და გააანალიზოს ეს ცოდნა სხვადასხვა დავალებებისა და ამოცანების შესრულებისას. ისინი შეძლებენ დამტკიცებული სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებას ნამუშევრების ანალიზის დროს და გამოავლენენ ავტონომიას პირველი ციკლის მოსალოდნელი დონის შესაბამისად. კურსდამთავრებული სწავლის პერიოდში იძენს გარკვეულ პრაქტიკულ უნარებს და ზოგად დონეზე ფლობს შესაბამის ინფორმაციას ისტორიული ძეგლებისა და არტეფაქტების მოვლასა და დაცვასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ სტაჟირების დროს ბაკალავრებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი პრაქტიკული უნარები და ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, შეიძლება დასაქმდნენ შესაბამის სფეროში. დამსაქმებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს კულტურის სექტორის სამუშაო ადგილის მოთხოვნებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგია:

1. კლასიკური და თანამედროვე კვლევების საფუძველზე, მაგისტრანტს აქვს ფართო და ღრმა ცოდნა ქართული ხელოვნების შესახებ; იგი საფუძვლიანად იცნობს ქართული ხელოვნების ფაქტობრივ მასალას და განვითარების ეტაპებს, ამ ეტაპებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, იცის ამ ეტაპებს შორის მემკვიდრეობითი კავშირები;
2. მაგისტრანტი ფლობს ხელოვნების თეორიის ფუნდამენტურ პრინციპებს; იცის ამ დარგის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები; იცნობს როგორც მხატვრულ, ასევე ინტერდისციპლინარულ კვლევის მეთოდებს;
3. მაგისტრანტს ესმის ქართული ხელოვნების ადგილი მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და ასევე ერკვევა მის კვლევასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და სხვა პრობლემების გადაჭრის გზებში;
4. მაგისტრანტი იცნობს კულტურული პოლიტიკისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს;
5. მაგისტრანტი აყენებს კვლევის საკითხებს, მას შეუძლია ნათლად ჩამოაყალიბოს ეს საკითხები, განავითაროს ჰიპოთეზები; კრიტიკულად დაამუშავოს საკითხის შესაბამისი სამეცნიერო სპეციალიზებული ლიტერატურა;

6. თემაზე მუშაობის პროცესში, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, მაგისტრანტი ახორციელებს საკვლევ მიმართული მასალის სისტემატიზაციას და კატალოგიზაციას, ორიგინალი ხელოვნების ნიმუშის შესწავლის გზით, ასევე აანალიზებს ხელოვნების ნიმუშს მხატვრული კვლევის მეთოდების გამოყენებით;
7. მაგისტრანტი აღიარებს ხელოვნების ისტორიის დარგის ინტერდისციპლინარულ ბუნებას, მის კავშირს მომიჯნავე სფეროებთან (ისტორია, პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო და ა.შ.) და საჭიროების შემთხვევაში, მხატვრულ მეთოდებთან ერთად, იყენებს კვლევის დისციპლინათაშორის მეთოდებს, რის შედეგადაც იგი ახდენს ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაციას და აყენებს მას ისტორიულ კონტექსტში;
8. მაგისტრანტს შეუძლია შექმნას და მოამზადოს კვლევის ანგარიში, კონფერენციის ანგარიში, სტატია, სამაგისტრო ნაშრომი ხელოვნების ისტორიის კონკრეტულ პრობლემაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
9. მაგისტრანტს შეუძლია იზრუნოს და დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა ხელოვნების ისტორიის პრაქტიკულ სფეროებში - მუზეუმები, ხელოვნების ბაზარი, მედია, ჟურნალისტიკა, ტურიზმი და ა.შ., გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში, მოახდინოს აქტუალური საკითხის/ პრობლემის იდენტიფიცირება და განსაზღვროს ამ პრობლემის გადაჭრის გზები;
10. მაგისტრანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს მხატვრული პროფესიონალური საქმიანობა, მოაწყოს და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელია, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში გაწერილი კრიტერიუმებით და ასახულია სასწავლო მოდულებში. ისინი მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მაგისტრატურის კურსდამთავრებული გააძლიერებს ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდების გაგებასა და გამოყენებას და გააცნობიერებს ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების მნიშვნელობას სასწავლო სფეროში. ისინი გაიღრმავებენ ცოდნას ქართული ხელოვნების ორი კონცენტრაციიდან ერთ-ერთში და შეეძლება დამოუკიდებლად და მეორე ციკლისთვის მოსალოდნელი დონეების შესაბამისი ავტონომიით კვლევის ჩატარება. მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა სწავლის პერიოდში გამოიმუშავა გარკვეული პრაქტიკული უნარები, მაგრამ ასევე სავალდებულო და არჩევითი მოდულებით შეიძინა დასაქმებისთვის აუცილებელი სხვა უნარებიც, და აქვს შესაძლებლობა განავითაროს ეს უნარები სტაჟირებაზე ან დასაქმების შემდეგ, როგორც ეს ექსპერტთა ჯგუფმა შეტყო დასაქმებულთან გასაუბრების დროს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგია:

1. "დოქტორანტი ფლობს ღრმა და სისტემატურ ცოდნას დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით (ქართული ხელოვნების ისტორია), რაც საშუალებას აძლევს გააფართოვოს, განაახლოს არსებული ცოდნა და შექმნას ახალი;

2. დოქტორანტი საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების კვლევის მეთოდებს (მათ შორის დისციპლინათაშორის მეთოდებს) და ესმის მათი მნიშვნელობა და საჭიროება ქართული ხელოვნების კვლევისას მეცნიერების უახლესი სტანდარტების შესაბამისად;
3. დოქტორანტი აცნობიერებს ქართული ხელოვნების კვლევითი პრობლემების მნიშვნელობას და შეიმუშავებს მათი გადაჭრის მეცნიერულ მიდგომებსა და მეთოდებს;
4. დოქტორანტი აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის სფეროში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის, ურთიერთგამომრიცხავი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების მნიშვნელობას დარგში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევისთვის;
5. დოქტორანტი აცნობიერებს ქართული ხელოვნების გაგების აუცილებლობას მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კონტექსტში;
6. დოქტორანტი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას თავისი ორიგინალური კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის სარგებლიანობაზე და მათ გამოყენებაზე კულტურის თანამედროვე სივრცეში, რომელიც შექმნილია პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
7. დოქტორანტს აქვს უნარი გაიგოს, შეაფასოს და ხელახლა შეაფასოს სფეროში არსებული ცოდნა და აქვს უნარი დამოუკიდებლად შექმნას ახალი ცოდნა ახალი კვლევის მეთოდებისა თუ ახალი მიდგომების შემუშავების საფუძველზე;
8. დოქტორანტს შეუძლია დარგის აქტუალური საკითხების ანალიზი და განხილვა; ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის, ურთიერთგამომრიცხავი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება და ამ უნარებიდან გამომდინარე შეუძლია სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება რთული პრობლემების გადასაჭრელად;
9. დოქტორანტს შეუძლია გარკვევით და ნათლად მიაწოდოს კვლევის შედეგები კოლეგებს და საზოგადოებას, სამეცნიერო მუშაობის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
10. დოქტორანტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში.
11. დოქტორანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა ხელოვნების ისტორიის კვლევის სფეროში; საკუთარი მოსაზრებებისა და ინოვაციური მიდგომების არგუმენტირებული დაცვა და საკუთარი კვლევითი პროექტის/ თემის შემუშავებაზე ორიენტირებული ვექტორების გამოვლენა.
12. ხელოვნების ისტორიის დარგის დოქტორანტი ქმნის სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსებს/ პროგრამებს და ახორციელებს აკადემიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას, ნერგავს ღირებულებებს.“

დოქტორანტურის აქცენტი გადატანილია კვლევაზე და ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ამასთან სრულ შესაბამისობაშია, ისინი ყოველსმომცველი და კარგად დაწერილია, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ დოქტორანტები მიაღწევენ საჭირო დონეს და დამთავრების შემდეგ შეძლებენ წარმატებით შევიდნენ სამეცნიერო კვლევის სფეროში. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დოქტორანტურის რამდენიმე კურსდამთავრებულს და თითოეულმა გამოავლინა ნდობა საკუთარი სპეციალობის თემის, შესაბამისი ცოდნისა და ექსპერტიზის სფეროს მიმართ; მათ ჰქონდათ ჩამოყალიბებული კარიერა, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული მათ სამეცნიერო კვლევის გამოცდილებასთან ან პედაგოგიურ შესაძლებლობებთან. კურსდამთავრებულებს და დოქტორანტებს, რომლებსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, ქონდათ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და კონფერენციებზე დასწრების შესაძლებლობა, რაც, როგორც ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა და წაიკითგა, სავალდებულოა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საერთაშორისო ჰორიზონტი არც თუ ისე აშკარა იყო, ის იდეისა და მიზნის დონეზე იყო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია, რომ 1.1- ში მითითებული დებულება, რომ აკადემიამ დააფინანსოს დოქტორანტების მგზავრობის ხარჯები საქართველოს საზღვრებს მიღმა კონფერენციებზე დასასწრებად, მომავალ წლებში გამოიღებს ნაყოფს და საფუძვლად ჩაეყრება ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას.

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრებები თვითშეფასების ჯგუფთან პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესები.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 - პროგრამის მიზნები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, საფეხური 8	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის მონახაზი მოცემულია 2022 წლის მარტში აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული №05/431 დებულებაში - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები. დებულებაში ნათქვამია, რომ:

„პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება კომპლექსურად, სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ როგორც სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები, ასევე განვსაზღვროთ პროგრამის შემდგომი განვითარების ორიენტაციები. [...]

პროგრამის ყოველი სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს პროგრამის ბოლოს.

შეფასების მექანიზმები განსაზღვრავს რამდენად მიღწეულია პროგრამის მიზნები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ერთიანი ციკლია და შედგება ოთხი ფაზისგან:

- I ფაზა - სწავლის შედეგების ფორმირება პროგრამის შემუშავების პროცესში;
- II ფაზა - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ანალიზი;
- III ფაზა - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

- IV ფაზა - პროგრამის შემუშავების/ მოდიფიკაციის რეკომენდაციების შემუშავება შეფასების შედეგებზე და მათ განხორციელებაზე დაყენებით’.

შემდგომი დებულება, No 05/433 „სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზი, სწავლის შედეგების შეფასება“, დამტკიცდა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის მარტში, და მასში დეტალურადაა ასახული ის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებებს. სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი ფორმებია შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, რომელიც განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურიკულუმის სილაბუსით. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმები მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების ან/ და თვითდასაქმების მაჩვენებლებს, კურსდამთავრებულთა შეფასებას დამსაქმებლის მიერ, კარიერული წინსვლის მაჩვენებელს და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ, მაგალითად, დასაქმების მიმართულებების მონაცემთა შესაქმნელად, კურსდამთავრებულთა სახელები იგზავნება პროგრამიდან კარიერული განვითარების ოფისში, რომელიც ფაკულტეტისა და პროგრამის სახელით ატარებს გამოკითხვას, და ამით უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალს სანდო მონაცემებით ანალიზისთვის.

ვინაიდან ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერის ეს აკრედიტაცია ეხება ორ შეცვლილ და ერთ ახალ პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფს სურდა გაეგო თუ რა გრაფიკით განხორციელდებოდა სწავლის შედეგების შეფასება მომდევნო სასწავლო წლის დაწყების შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ ამ შემთხვევაშიც გაგრძელდება არსებული და ზემოთ აღწერილი მექანიზმების გამოყენება. დებულებაში № 05/433 წერია, რომ პროგრამის დაწყების შემდეგ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადარებს მიღწეულ შედეგებს წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნებთან და ამზადებს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს. ამ გზით იზომება სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საჭიროების შემთხვევაში, ანგარიში არის პროგრამის მოდიფიკაციის საფუძველი სწავლის შედეგების შეფასების თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფს აინტერესებდა იმის გაგება, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების ნებისმიერი ცვლილების (ან სხვა შედეგად მიღებული გაუმჯობესების) მონიტორინგი, შემდგომი განვითარება და შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ მას შემდეგ, რაც ფაკულტეტი დამტკიცებს ცვლილებას და დაადგენს ვადას, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს პროცესს და ამოწმებს, რომ ცვლილება განხორციელდა.

შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან დაეხმარა ექსპერტთა ჯგუფს იმის გაგებაში, თუ როგორ ხორციელდება პროცესი კლასტერის შიგნით და კიდევ ერთხელ დამტკიცა პროგრამის სწავლის შედეგების დროული და ეფექტური შეფასების სანდო პროცესი კლასტერში დაჯგუფებული სამ პროგრამაში.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ ეხება

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები.
- გასაუბრება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები , საფეხური 8**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნების ისტორია და თეორია	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



(საბაკალავრო პროგრამა), საფეხური 6 პროგრამა 2 - ხელოვნების ისტორია და თეორია (სამაგისტრო პროგრამა), საფეხური 7 პროგრამა 3 - სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (სადოქტორო პროგრამა), საფეხური 8	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნების ისტორიის კლასტერის სტრუქტურა შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და შეფასების ინსტიტუციურ რეგულაციას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ხორციელდება როგორც ინტერაქტიული პროცესი, რომელიც აერთიანებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს. პროცესი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ადეკვატურ განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, თავად პროგრამის შემუშავების პროცესი დაყოფილია რამდენიმე ეტაპად, დაწყებული იდეის ინიცირებიდან, რასაც მოჰყვება მონაცემთა შეგროვება, SWOT ანალიზი, კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან და თავად პროცესის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ გადაამოწმა, გაიარა თუ არა კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრამებმა ეს პროცესი და ეს როგორც აკადემიურმა, ისე ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრების დროს დაადასტურა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი დამაჯერებელია. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები აზრობრივად ავსებენ ერთმანეთს. თეორიული და პრაქტიკული შინაარსი დამაჯერებლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ემსახურება სტუდენტების მომზადებას მომავალი გამოწვევებისა და სამუშაო ბაზრისთვის.



სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა გაერკვია, როგორ იყვნენ ეს ადამიანები ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ პედაგოგების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის განვითარების თითოეულ დონეზე გამოიკვეთა.

მოცემულ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე და დაშვების კრიტერიუმებიც იმავე არხის საშუალებით ვრცელდება. დამატებითი დეტალები თითოეულ პროგრამაზე დაშვების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვესტანდარტის 2.1-ის აღწერაში.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან და გრძელდება რვა სემესტრი. ეს კრედიტები დაყოფილია შემდეგ კომპონენტებად:

- მოდულის ზოგადი კურსები – 18 ECTS
- აკადემიის დისციპლინები – 36 ECTS
- დარგობრივი დისციპლინები და პრაქტიკა – 125 ECTS
- არჩევითი კურსები – 51 ECTS
- საბაკალავრო ნაშრომი – 10 ECTS

დარგობრივი დისციპლინების მოდული იყოფა ორ ქვემოდულად – მსოფლიო ხელოვნების ისტორია და საქართველოს ხელოვნების ისტორია. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ და ადგილობრივი კანონმდებლობის წესების შესაბამისად, სტუდენტებს ენიჭებათ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ერთ სემესტრში 3ECTS მოდულების დიდმა რაოდენობამ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს სტუდენტებზე და მისი რჩევით, ეს უნდა განიხილონ სტუდენტებთან ერთად, რათა შეამოწმონ, რომ ისინი უმკლავდებიან დატვირთვას.

საბაკალავრო პროგრამის მე-8 შედეგში ნათქვამია, რომ კურსდამთავრებულები, წინასწარ განსაზღვრული გაიდლაინებით, ქმნიან სტანდარტებზე დაფუძნებულ წერილობით კვლევით ნაშრომს/პროექტს. თუმცა, ეს შედეგი მხოლოდ ერთ კურსში ფასდება - საბაკალავრო ნაშრომში. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიტანოს აკადემიური ესეები უფრო მეტ სილაბუსში და შეაფასოს ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. ეს შეფასება უნდა მოიცავდეს სტუდენტების მიერ გამოყენებული ცნობების გამოყენების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას. ამით დაწესებულება კიდევ უფრო განავითარებს აკადემიური წერის არსებით უნარებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

საქართველოს ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და მისი ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია. პროგრამა იმგვარად არის შემუშავებული, რომ იყოს წინა საფეხურის სწავლის გაგრძელება და ამავდროულად მისცეს სტუდენტებს ქართული ხელოვნების

უფრო ღრმა ცოდნა. გარდა ამისა, პროგრამა ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე. სამაგისტრო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- აკადემიური დისციპლინები – 20 ECTS
- ძირითადი დისციპლინები – 40
- არჩევითი კურსები – 25 ECTS
- პრაქტიკა – 5 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS

ძირითადი დისციპლინა წარმოდგენილია ორი კონცენტრაციით: თანამედროვე ქართული ხელოვნება – ქართული ხელოვნების ისტორია მე-19- 20 საუკუნეებში, ხოლო მეორე კონცენტრაცია მოიცავს ძველ ქართულ ხელოვნებას - შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ კურსები განსხვავდება მოცემულ კონცენტრაციებში, არსებობს ერთი საერთო კურსი - პროექტის მენეჯმენტი და ფონდების მოზიდვა - რომელიც სავალდებულოა ორივე შემთხვევაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრის კვალიფიკაცია.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა (ქართული ხელოვნების ისტორია) კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამის ლოგიკური გაგრძელებაა. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა 3-დან 5 წლამდე, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტმა უნდა გაიაროს 6 სავალდებულო სემესტრი, მაგრამ ის შეიძლება გაგრძელდეს 10 სემესტრამდე. თავად პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევის კომპონენტებს.

სასწავლო კომპონენტი შედგება 50 ECTS- ისგან:

- აკადემიური კურსები – 15 ECTS
- სადოქტორო სემინარი – 20 ECTS
- დისციპლინათაშორისი სემინარი – 10 ECTS
- არჩევითი კურსები – 5 ECTS

როგორც გასაუბრებების დროს განიმარტა, აკადემიის კურსები იმგვარად არის შერჩეული, რომ მოემზადოს დოქტორანტები როგორც კვლევითი, ისე პედაგოგიური საქმიანობისთვის. როგორც სასწავლო გეგმებშია მოცემული, კვლევის მეთოდები, სწავლების სტრატეგიები და პროფესორის ასისტენტობა ამ მოდულშია მოცემული. რაც შეეხება სადოქტორო სემინარებს, პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა მოამზადონ და წარადგინონ სამი სემინარი. ამ სემინარებიდან ორი უშუალოდ საკვლევ თემაზე უნდა იყოს ფოკუსირებული, ხოლო მესამე სემინარი მომზადებული იქნება სხვა ფაკულტეტის/დარგის საკვლევ თემაზე. დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა იმის დადგენას, რა გამოცდილება ქონდათ მათ ინტერდისციპლინურ სემინართან დაკავშირებით.

უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათთვის ეს კარგი შანსი იყო გაცნობოდნენ სხვადასხვა თემებს და გაეანალიზებიათ მათი პერსპექტივიდან. ამ აქტივობების გარდა, სასწავლო გეგმებში არის არჩევითი კურსი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა ან ინტერესები აკადემიის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა სფეროში. თავად კვლევის კომპონენტი შედგება ორი კოლოქვიუმისა და კვლევითი პროექტისგან. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ დოქტორის ხარისხი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ზრუნავს ზოგადად ინტერნაციონალიზაციაზე, მაინც სადოქტორო პროგრამის დონეზე ეს აქტივობები არც თუ ისე აშკარაა. ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს ინტერნაციონალიზაციის მეტი შესაძლებლობების ინტეგრირებას.

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გამოყენებისა და შეფასების წესები.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა.
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გასაუბრებები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დაინტერესებულ პირებთან
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - ხელოვნების ისტორია და თეორია, საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 6**

**რეკომენდაციები:**

1.4.1 რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიტანოს აკადემიური ესეები თავის ზოგიერთ სილაბუსში და ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. შეაფასოს; შეფასება უნდა მოიცავდეს სტუდენტების მიერ გამოყენებული წყაროების მითითების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას.

**რჩევები:**

1.4.2 სავარაუდოდ, ერთ სემესტრში 3ECTS მოდულების დიდი რაოდენობა მეტი დატვირთვაა სტუდენტებისთვის, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს მათთან, ამგვარად შემოწმდება, რამდენად უმკლავდებიან სტუდენტები ამ დატვირთვას.

**პროგრამა 2 - ხელოვნების ისტორია და თეორია, სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 7**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 - სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, სადოქტორო პროგრამა, საფეხური 8**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:**

1.4.3 სტუდენტების შესაძლებლობების შემდგომი გაზრდის მიზნით სასურველია დოქტორანტურის პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის მეტი შესაძლებლობების შეთავაზება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

და თეორია, საფეხური

7

პროგრამა 3 -

X

□

□

□

დოქტორანტურა,

სახელოვნებათმცოდნე

ო კვლევები, საფეხური

8

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო კურსების შინაარსი აისახება კურსების სილაბუსებში. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, ეს სილაბუსები შემუშავებულია აკადემიაში გამოყენებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად. სილაბუსები იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას კურსების შინაარსის, მეთოდების, მიზნებისა და სტრუქტურის შესახებ. თითოეული კურსისთვის კრედიტების რაოდენობა გამოითვლება იმ საათების მიხედვით, რაც სტუდენტებს სჭირდებათ სასწავლო მიზნების მისაღწევად. კურსების უმეტესობა ყველა პროგრამაში არის 5 ECTS კრედიტიანი, მაგრამ არის რამდენიმე 3 და 10 კრედიტიანი (იხ. რჩევა ქვესტანდარტში 1.4).

სასწავლო მიზნები განისაზღვრება კურსის სილაბუსებში მიზნებთან/ ამოცანებთან ერთად. კურსის სასწავლო მიზნები, ძირითადად შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს. კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამისთვის შემუშავებული და წარმოდგენილია კურსის სწავლის შედეგების რუკები პროგრამების სწავლის შედეგებთან კორელაციაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, გაითვალისწინეს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები კურსებზე მუშაობისას, რადგან დადასტურდა, რომ ყველა კურსი შემუშავებული იყო პროგრამის მოთხოვნების და მის სწავლის შედეგებთან შესაბამისად.

კურსის სილაბუსები შეიცავს ინფორმაციას თითოეული თემისთვის საჭირო შესაბამისი ლიტერატურის შესახებ. მოცემული რესურსები შეესაბამება კურსის შინაარსსა და მის სწავლის შედეგებს, ასევე, ძირითადად, წარმოადგენს დარგისთვის დამახასიათებელ მიღწევებს. თუმცა,

ზოგიერთ შემთხვევაში ლიტერატურა ცოტა მოძველებულია და რუსულ ენაზე გამოქვეყნებული. იმის გათვალისწინებით, რომ რუსული ენა არ ისწავლება არც აკადემიაში და არც საჯარო სკოლებში, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს აკადემიურ პერსონალს კრიტიკულად განიხილოს სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა, რათა შეიტანოს უფრო განახლებული რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე, ლიტერატურა ზოგიერთ შემთხვევაში მაინც საჭიროებს გადახედვას.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

საბაკალავრო პროგრამა ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში მოიცავს 125 ECTS კრედიტს დარგიდან, რომელიც დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად, ერთი კონცენტრირებულია საქართველოს ხელოვნების ისტორიაზე, მეორე მსოფლიო ხელოვნების ისტორიაზე, ხოლო მესამე უფრო მეტად ანალიზზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, არის 5 კრედიტიანი სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არის თუ არა მიზანშეწონილი, რომ ზოგიერთი პრაქტიკული არჩევითი საგანი, როგორცაა „საექსპოზიციო პროექტი“ ან „სამუზეუმო ფონდები და კოლექციები“ სავალდებულო ყოფილიყო, მაგრამ დაასკვნა, რომ ბაკალავრიატის სილაბუსების უმეტესობამ უნდა უზრუნველყოს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაზისო ცოდნა. კურსის თითოეული სილაბუსი აღწერს შეფასების კრიტერიუმებს სასწავლო მიზნებთან ერთად. უმეტეს შემთხვევაში შეფასების ფორმები და ტიპები ან საკურსო ნაშრომის დაწერა ან შეიძლება პრეზენტაცია იყოს. კურსის სილაბუსი განსაზღვრავს შეფასების ფორმის რაოდენობას და ასევე ვადებს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიარა კურსის აღწერილობები და ადასტურებს, რომ კურსის დონეზე სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

საქართველოს ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს ორ კონცენტრაციას, ერთი საქართველოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში და მეორე საქართველოს ძველი ხელოვნების ისტორიაში, თითოეულისთვის 40 ECTS კრედიტი. კონცენტრაციები მოიცავს დარგის ყველა ძირითად განზომილებას, და პრაქტიკასთან (5 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება კურსის დონეზე სწავლის შედეგების გაზომვას, აკადემიურმა პერსონალმა განსაზღვრა შეფასების ფორმები/ ტიპები, რომლებიც გამოიყენება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი გამოცდების სახით. სწავლების ამ საფეხურზე პედაგოგები ძირითადად იყენებენ წერით დავალებებს, მაგრამ ამას გარდა არსებობს პროექტები, რომლებზეც სტუდენტები მუშაობენ მთელი სემესტრის განმავლობაში, მათი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად გააანალიზა წარმოდგენილი რუკები და დაადასტურა, რომ კურსის დონეზე სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამას (საქართველოს ხელოვნების ისტორია) აქვს სასწავლო კომპონენტი 50 ECTS კრედიტით და კვლევის კომპონენტი. სასწავლო კომპონენტები გვთავაზობენ სავალდებულო კურსებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტს აქვს საკმარისი უნარები დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, უფრო მეტიც, შეიმუშაოს და ჩაატაროს კურსი ხელოვნების სფეროში. ეს მიიღწევა პედაგოგიკის სტრატეგიების, კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსების შეთავაზებით და პროფესორის ასისტენტობით სწავლების პროცესში. ამას გარდა, დოქტორანტმა უნდა გაიაროს სამი სემინარი, აქედან ორი უშუალოდ საკვლევ თემასთანაა დაკავშირებული, და ერთი კონკრეტულად არ არის დაკავშირებული თემასთან. გასაუბრებების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად განმარტა სადოქტორო სემინარების იდეა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ინტერდისციპლინარული პროექტების გაძლიერებაში.

რაც შეეხება კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას, არსებობს ორი კოლოკვიუმი და თავად სადოქტორო ნაშრომი, რაც ძირითადი საბაზისო მხარდაჭერაა სტუდენტების კვლევითი უნარების გაღრმავებაში, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ მათ დამოუკიდებლად შეძლონ კვლევების ჩატარება ხელოვნების სფეროებში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ კურსის დონეზე მოცემული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის დონეზე არსებულ შედეგებს.

### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- სამაგისტრო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- სადოქტორო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- სწავლის შედეგების რუკა
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

#### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

1.5.1 რეკომენდებულია აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალთ გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. რუსული).

#### **კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები , საფეხური 8**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 6	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, საფეხური 7	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნე ო კვლევები , საფეხური 8	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა**  
 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამებმა სამივე საფეხურზე განსაზღვრა გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები პროგრამაზე პირთა მიღებისათვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას. პროგრამებზე სტუდენტების მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

შემუშავებულია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პროგრამებზე მიღება ხორციელდება მის შესაბამისად. მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სახელოვნებო პროგრამების სპეციფიკა, არსებული ადამიანური,

ფინანსური და მატერიალური რესურსები. ამიტომ, მიღებული სტუდენტების რაოდენობა დაბალანსებულია, შეესაბამება სამივე დონეზე კარგი საქმიანობის მიზნებს და ოპტიმალურია არსებული რესურსების პირობებში.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით (პრიორიტეტის მიხედვით ჩასაბარებელი საგნებია): სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა; არჩევითი საგნები: პრიორიტეტების მიხედვით: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ინდექსი 7), ისტორია (ინდექსი 7), ლიტერატურა (ინდექსი 6).

- პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება დადგენილი წესითა და ვადებში. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში; II. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში; III. იმ პირებისთვის, ვინც სწავლობს/ისწავლა და მიიღო კრედიტები უცხო ქვეყანაში, იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/ნ ბრძანებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხდება არსებული კანონის შესაბამისად. იგი ასევე ითვალისწინებს არჩევით საგნებს პრიორიტეტების მიხედვით: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ინდექსი 7), ისტორია (ინდექსი 7), ლიტერატურა (ინდექსი 6).

ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტები დაიშვებიან დადგენილი წესით; სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის ყველა საკითხი გასაგები იყო ჩაბარების დროს და მიიჩნევენ, რომ გამოცდების სირთულის დონე შეესაბამება ზოგადი განათლების შედეგად მიღებულ ცოდნის დონეს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
- ერთიანი ეროვნული გამოცდა.
- გამოცდა უცხო ენაში (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია).
- რეფერატი ხელოვნების ისტორიის შერჩეულ სფეროში და პრეზენტაცია.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). გამოცდა ტარდება ტესტირების სახით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის გაწერილი და განსაზღვრული. სპეციალობაში

აბიტურიენტი ამზადებს ესეს მის მიერ არჩეულ თემაზე ხელოვნების ისტორიის ნებისმიერ სფეროში და აკეთებს ამ თემის ზეპირ პრეზენტაციას.

სპეციალობაში თემის პრეზენტაციის პროცედურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- არანაკლებ 10 გვერდიანი რეფერატის პრეზენტაცია სტუდენტის მიერ შერჩეულ თემაზე/საკითხზე (პარამეტრები: ფონტი – Sylfaen. 12, ინტერვალი – 1,5, საჭიროების შემთხვევაში, ვიზუალური მასალა).

- პრეზენტაცია (რეგლამენტი 15 წთ). შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

- ესე - 70 ქულა

- პრეზენტაცია - 30 ქულა ალწერა და ანალიზი – სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია) დოქტორანტურა

საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხდება არსებული კანონმდებლობით. ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას უცხო ენაში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ხელოვნების დარგის მომავალი მკვლევრისთვის უცხო ენის შესწავლა აუცილებელია. სპეციალობის გამოცდის ფორმაც სწორად არის განსაზღვრული, როგორც ესე ხელოვნების ისტორიის შერჩეულ სფეროში და პრეზენტაცია. მაგისტრანტები აღნიშნავენ, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურა მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება ხელოვნების სფეროს სპეციფიკურ მოთხოვნებს. ისინი ფიქრობენ, რომ ორივე მოთხოვნა - როგორც უცხო ენის ცოდნის დონე, ისე ხელოვნების ისტორიის ნებისმიერ სფეროში მის მიერ არჩეულ თემაზე ესეს მომზადება და სპეციალობაში ზეპირი პრეზენტაცია - სწორად არის განსაზღვრული.

### **ალწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები:

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვა ნებადართულია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოსვლა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით.

- დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) დასაბუთებული შუამდგომლობა. კვლევის თემის მიზანშეწონილობა და აქტუალობა შეთანხმებული უნდა იყოს ხელმძღვანელთან.

- პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება მომავალი სამეცნიერო პროექტის შედეგების წარდგენის საფუძველზე (პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში, გვ. 53). აპლიკანტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე უნდა გააკეთოს თავისი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაცია (საილუსტრაციო მასალით, მაქსიმუმ 40 წუთი). პრეზენტაციის გაკეთებისას აპლიკანტი ვალდებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგინოს კვლევისათვის შერჩეული თემა, ძირითადი პრობლემები, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო

გზები და კვლევის სავარაუდო მეთოდები. მან საბჭოს უნდა წარუდგინოს რეფერატი კვლევის თემაზე, არანაკლებ 15 გვერდისა (Sylfaen- 11/12).

- პირი, რომელმაც გაიარა და დაასრულა საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა ინგლისურ, გერმანულ, ან ფრანგულ ენაზე, თავისუფლდება უცხო ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენისაგან.

- პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი პირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა. სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ბოლო სამი წლის განმავლობაში.

- ყველა დანარჩენ შემთხვევაში პირი ვალდებულია ჩააბაროს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა.

- თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება ხელოვნების ისტორიისა და თეორიული სწავლების დარგში. ასევე თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელსაც არ აქვს მაგისტრის განათლება შესაბამის სფეროში, მაგრამ აქვს პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება ან/და მუშაობს შესაბამის სფეროში ან მის გარკვეულ ნაწილში.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც აპლიკანტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge) მეშვეობით. ეს ინფორმაცია ვებგვერდზე ქვეყნდება მისაღები პროცედურების დაწყებამდე ორი თვით ადრე.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები უფრო რთულია და შეესაბამება მომავალი კვლევითი სამუშაოს მოთხოვნებს. კვლევის თემის მიზანშეწონილობა და აქტუალობა შეთანხმებული უნდა იყოს ხელმძღვანელთან. აპლიკანტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე უნდა გააკეთოს თავისი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაცია. პრეზენტაციის გაკეთებისას აპლიკანტი ვალდებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგინოს კვლევისთვის შერჩეული თემა, ძირითადი პრობლემები, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და კვლევის სავარაუდო მეთოდები. განმცხადებელმა საბჭოს უნდა წარუდგინოს რეფერატი კვლევის თემაზე. ასეთი პირობები უზრუნველყოფს ღირსეული კანდიდატის ჩარიცხვას.

#### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ფორმატი და კრიტერიუმები
- დოქტორანტურაში მიღების პროცედურა
- სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>
- პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**შეფასება**

**გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან**

კომპონენტი 2.1 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

## კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი სამივე დონის პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, ტექნიკური, თეორიული, კვლევისა და ტრანსფერული უნარების ფორმირებას, რომლებიც ექვემდებარება ეტაპობრივ ზრდას და შემოქმედებითი, პრაქტიკული, ტექნიკურ-თეორიული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავდებას. შემუშავებული პროგრამის მიხედვით ამ სფეროსთვის მნიშვნელოვანია ანალიტიკური უნარების განვითარება ყველა დონეზე, დაწყებული საბაკალავრო საფეხურიდან. ბაკალავრიატის დონეზე ყურადღება ექცევა თეორიული ცოდნის შეძენას ხელოვნების ისტორიაში, რაც გამოიხატება ძირითადი და არჩევითი საგნების სწავლებით. ამავდროულად, პროგრამა მოიცავს ე.წ. ანალიზის ბლოკს, რომელიც განავითარებს დარგის აუცილებელ ანალიტიკურ უნარებს, რაც წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის საფუძველს. ამ ბლოკში სტუდენტები სწავლობენ ფორმის ანალიზს და სხვა სახელოვნებო მეთოდებს. ამავე ეტაპზე გადიან პრაქტიკას, რომელიც ავითარებს მათი სფეროსთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ გამოცდილების გაზიარებისა და სამეცნიერო და პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობის სპექტრის გაფართოების მიზნით, სასარგებლო იქნებოდა ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ინდივიდუალური პროგრამებისათვის სახელოვნებო პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების უფრო ინტენსიურად დაგეგმვა და ჩატარება. ასევე მოქმედებაშია პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესები.

სამეცნიერო, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განსავითარებლად, კურსების სწავლების გარდა, მიმდინარეობს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც მნიშვნელოვანია სახელოვნებო სფეროში. ინტერვიუებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამა და ცალკეული ლექტორები ყოველთვის მზად არიან კომუნიკაციისთვის და ბევრი საკითხი წყდება მხარეთა ჩართულობით.

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)

ბაკალავრიატის დონეზე საგნების ნაწილი, კონკრეტულად ე.წ. ანალიზის ბლოკი თანაბრად უწყობს ხელს სტუდენტების როგორც საბაზისო სამეცნიერო (კვლევითი), ისე საბაზისო პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამ ბლოკში შემავალი საგნები, პირველ რიგში, ავითარებენ ანალიტიკურ უნარებს, რაც წარმოადგენს ხელოვნების ისტორიის ქვაკუთხედს. ამ საგნების გავლისას სტუდენტები ეცნობიან „სახვითი ხელოვნების ენის“ სტრუქტურას, სახვითი ხელოვნების საშუალებებს, მათ სახეებს, დამახასიათებელ ნიშნებს და ამ ცოდნას იყენებენ საკუთარ პრაქტიკულ მუშაობაში, ანუ ხელოვნების ნიმუშების ანალიზისას. გარდა ამისა, ისინი ეცნობიან თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა „ენას“ და მისი კვლევის მეთოდებს, გამოიმუშავენ ნაშრომის სტრუქტურის აგების პრაქტიკულ უნარს, ასევე განუვითარდებათ ლიტერატურის დამუშავების და ნებისმიერი სახის სამეცნიერო ნაშრომისათვის აკადემიური იერსახის მიცემის უნარი.

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)



მაგისტრატურის დონეზე როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციით. ამ ეტაპზე სტუდენტები უკვე ღრმად სწავლობენ ქართულ ხელოვნებას. ორივე კონცენტრაციისთვის (როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართული ხელოვნება) განკუთვნილი საგნებით, ისინი უკვე დეტალურად სწავლობენ ხელოვნების ისტორიას, ხელოვნების ისტორიის ჩამოყალიბების ისტორიას, სამეცნიერო სფეროს თავისებურებებს, მის დამფუძნებლებსა და მათ მიერ შემუშავებულ მეთოდებს. ამ მეთოდებს ისინი იყენებენ კვლევის დროსაც.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

დოქტორანტურის დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვლევით საქმიანობას. ფაკულტეტის კრედიტ კურსებს შორის არის ამ სფეროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგნები. სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ ხელოვნების მეთოდებს, არამედ სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მეთოდებსაც, როგორცაა ფენომენოლოგიური, ჰერმენევტიკული, სემიოტიკური, ფემინისტური და სხვა მეთოდები. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე ამ სფეროში მიღებული ცოდნისაგან განსხვავება დოქტორანტურის დონეზე არის ის, რომ ეს მეთოდები განიხილება უფრო სიღრმისეულად, ფილოსოფიურად, რაც ეხმარება დოქტორანტს პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში. დოქტორანტურაში კვლევითი საქმიანობის წილი გაიზარდა სემინარების ხარჯზე. ორი სპეციალობის და ერთი ინტერდისციპლინური სემინარი პრაქტიკულად მოიცავს სამეცნიერო კვლევით მუშაობას. სტუდენტები ეცნობიან ლიტერატურას, ვიზუალურ მასალას, ახდენენ მათ კლასიფიკაციას, აანალიზებენ და თავიანთ მოსაზრებებს წარუდგენენ აუდიტორიას. ამ პროცესში მან უნდა განახორციელოს კვლევითი სამუშაო, რომელშიც ეხმარება წინა საფეხურებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება და დოქტორანტურის დონეზე სიღრმისეულად შესწავლილი და ათვისებული კვლევის მეთოდები. კოლოკვიუმებს პრაქტიკულად იგივე მიზანი აქვთ. კვლევის უნარების გამომუშავების კვინტესენციაა საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელშიც სტუდენტმა უნდა შეარჩიოს თემის შესაფერისი და შესაბამისი კვლევის მეთოდები და საკვლევი მასალა, გამოიყენოს ისინი ეფექტურად და ამის საფუძველზე გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, შექმნას ახალი ცოდნა.

ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაასკვნას, რომ პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება განათლების სამივე საფეხურზე ხდება შესაბამისი, განსხვავებული ფორმებით და უზრუნველყოფს სტუდენტებს ხელოვნების სფეროს კარგი ცოდნითა და უნარების შექმნით.

### **საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არაა საჭირო

### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები
- სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები
- სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

- ინტერვიუების შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესორებთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

2.2.1 სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.



## კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თითოეული კურსის სილაბუსი ითვალისწინებს კურიკულუმის მიზნის მიღწევის მეთოდებს, რომელიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. თითოეული კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების განვითარებაზეც.

პროგრამებში გამოყენებულია სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდი. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდების შემოქმედებით გამოყენებაში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები. მოწვეული ლექტორები ზოგად საგანმანათლებლო პროცესში კარგად არიან ჩართულნი საკუთარი საგნებით.

ბაკალავრიატის დონეზე არსებული საგნები ხელს უწყობს სტუდენტების როგორც საბაზისო სამეცნიერო (კვლევითი), ისე საბაზისო პრაქტიკული უნარების მეტ-ნაკლებად თანაბარ განვითარებას. ამ ბლოკში შემავალი საგნებია: 1. შესავალი ხელოვნების ისტორიაში (ვიზუალური ხელოვნების სფეროები, თანამედროვე ხელოვნების ჟანრები და ფორმები); 2. ვიზუალური ხელოვნების ნიმუშის ფორმის ანალიზი, 3. ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები და ანალიზის მეთოდები; 4. თანამედროვე ხელოვნების კვლევის მეთოდები, 5. ნამუშევრის შექმნის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, ავითარებს ანალიტიკურ უნარებს. სტუდენტები ეცნობიან თანამედროვე ხელოვნების განსხვავებულ „ენას“ და მის კვლევის მეთოდებს. საგანი „ნაშრომის შექმნის პრინციპები“ გამოუმუშავებს ნაშრომის სტრუქტურის აგების პრაქტიკულ უნარს, ასევე უვითარებს ლიტერატურის დამუშავებისა და ნებისმიერი სახის სამეცნიერო ნაშრომისათვის აკადემიური იერის მინიჭების უნარს.

მაგისტრატურის დონეზე როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები უვითარდებათ კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციით. სტუდენტები სწავლობენ ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდებს და ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიას, რომლის ფარგლებშიც ისინი უკვე დეტალურად სწავლობენ ხელოვნების ისტორიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბების ისტორიას, მის დამფუძნებლებს და მათ მიერ შემუშავებული მეთოდების თავისებურებებს. მათ უნდა გამოიყენონ ეს მეთოდები პრაქტიკაში და ისარგებლონ ამ გამოუმუშავებული უნარით სპეციალობის სხვა საგნებში.

საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს და თითოეული კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლების მეთოდები შეირჩევა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში აღწერილი სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას.

ვერბალურ მეთოდთან, დისკუსია/დებატებთან, ჯგუფურ მუშაობასთან ერთად გამოიყენება წიგნზე მუშაობის მეთოდი. ასევე, ხელოვნების სფეროსათვის მნიშვნელოვანი მეთოდები: დემონსტრირების მეთოდი (ეს მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას), მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სამივე საფეხურის სტუდენტები საგანმანათლებლო კომპონენტის ფარგლებში ამზადებენ კვლევის პრეზენტაციას. ისინი ეჩვევიან ნაშრომის მიზნების დასახვას, მათი მიღწევის გზების განსაზღვრას, ადეკვატური მეთოდების ძიებასა და გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვას, უახლესი ინფორმაციის მოპოვებას. სასწავლო პროგრამების დონის მიხედვით დავალებები განსხვავებულია.

პროგრამებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და ინტეგრირებული მეთოდები გვაძლევს საფუძველს გამოვიტანოთ დასკვნები, რომ პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. ამას ადასტურებენ სხვადასხვა დონის სტუდენტები, რომლებიც საუბრობენ ხელოვნების სფეროსთვის აუცილებელ სასწავლო/შემოქმედებით ხასიათზე ორიენტირებულ მეთოდებზე, რომლებიც კარგად შეეფერება დარგში ინდივიდუალური ინტერესების განვითარებას და კვლევას.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ არის საჭირო

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამების სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროფესორებთან და სტუდენტებთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული  
**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------------------------------------------	---------------------------------	---------------------------------------------	-----------------------------------------------	---------------------------------

პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამივე საფეხურზე სასწავლო პროგრამაზე სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურების მიხედვით. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ეფუძნება მიღებული ცოდნის მუდმივი შეფასების პრინციპს.

სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასება ითვალისწინებს შეფასებას სემესტრის განმავლობაში და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. პროგრამის განხორციელებისა და აკადემიური დისციპლინების სწავლებისას სტუდენტის მოსწრება თითოეულ დისციპლინაში ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით. სტუდენტების შეფასებისთვის პროგრამები იყენებს 100-ქულიანი შეფასების სისტემას. საგანმანათლებლო კომპონენტის შეფასება 100-ქულიანი და მრავალკომპონენტიანია.

სამივე დონის პროგრამებში შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

თითოეული კომპონენტისათვის ქულების მინიჭების სისტემა და კრიტერიუმები მოცემულია საგნის სილაბუსში. შეფასების ფორმები და კომპონენტები შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს. შეფასების კომპონენტები და მათი სპეციფიკური წილი ასახულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ასევე, ყველა დონის პროგრამის სილაბუსში აღწერილია შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ნებისმიერი კურსისათვის. პროგრამებს თან ახლავს შეფასების კრიტერიუმები. მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულა.

სილაბუსი ითვალისწინებს შეფასების სისტემას, სადაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა არის 30. ამასთანავე, შუალედური გამოცდის მაქსიმალური ქულაც არის 30 (2 შუალედური გამოცდა). ასევე, 10 ქულა განისაზღვრება სტუდენტის აქტივობის შესაფასებლად. მოქმედი წესით, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა შეიძლება იყოს არაუმეტეს 40.

შეხვედრებზე დაისვა კითხვები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ლიდერებსაც, პროფესორებსაც და მოწვეულ ლექტორებსაც აქვთ კარგად ჩამოყალიბებული ხედვა ამ საკითხზე; კარგად ერკვევიან ნიუანსებში. მათგან მოვისმინეთ არგუმენტები როგორც კომპონენტების თანაფარდობაზე, ისე კრიტერიუმებზე. პედაგოგები საუბრობენ როგორც კონკრეტული დისციპლინების მაგალითებზე, ისე ზოგადად შეფასების სისტემაზე.

### **საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

პროგრამა მკაფიოდ ასახავს შეფასების სისტემის ფორმას, როგორც კომპონენტების მიხედვით (ფინალური გამოცდა, შუალედური გამოცდა, აქტივობა, ნაშრომის შეფასება), ისე შეფასების დონეების მიხედვით - მინიმალურიდან მაქსიმუმამდე 100-ქულიანი ფორმის ფარგლებში. ასევე მოცემულია შეფასების კრიტერიუმები. ამ სისტემის მიხედვით შეფასება მკაფიო და გამჭვირვალეა.

ბაკალავრიატის დონეზე ნაშრომის შემუშავებისა და შეფასების სისტემა დეტალურად არის აღწერილი პროგრამაში და კარგად ასახავს სწავლების დონის მიზნებს.

საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს სამ ეტაპად:

1. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა და დამტკიცება.
2. წინასწარი დაცვა.
3. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

პროგრამა მკაფიოდ ასახავს შეფასების სისტემის ფორმას, როგორც კომპონენტების მიხედვით (ფინალური გამოცდა, შუალედური გამოცდა, აქტივობა, ნაშრომის შეფასება), ისე შეფასების დონეების მიხედვით - მინიმალურიდან მაქსიმუმამდე 100-ქულიანი ფორმის ფარგლებში. ასევე მოცემულია შეფასების კრიტერიუმები.

მაგისტრატურის დონეზე ნაშრომის შემუშავებისა და შეფასების სისტემა დაწვრილებითაა გაწერილი პროგრამაში და კარგად ასახავს სწავლების დონის მიზნებს.

ამ სისტემის მიხედვით შეფასება მკაფიო და გამჭვირვალეა.

სამაგისტრო ნაშრომის თემა შერჩევა და წარედგინება სამ ეტაპად:

- 1) სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა და დამტკიცება.
- 2) წინასწარი დაცვა.
- 3) სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

პროგრამა მკაფიოდ ასახავს შეფასების სისტემის ფორმას, როგორც კომპონენტების მიხედვით (ფინანსური გამოცდა, შუალედური გამოცდა, აქტივობა, ნაშრომის შეფასება), ისე შეფასების დონეების მიხედვით - მინიმალურიდან მაქსიმუმამდე 100-ქულიანი ფორმის ფარგლებში. ასევე მოცემულია შეფასების კრიტერიუმები. ამ სისტემის მიხედვით შეფასება მკაფიო და გამჭვირვალეა.

სადოქტორო დისერტაციის დაცვისას პროცედურები და შეფასება განსხვავდება დაბალი დონის სწავლების შეფასების სისტემისგან. კრიტერიუმები განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევის მოთხოვნების შესაბამისად. ამ დონეზე გათვალისწინებულია სამეცნიერო ნაშრომის ინდივიდუალური ბუნება. პროგრამაში მკაფიოდ არის აღწერილი სისტემის დეტალები.

სადისერტაციო ნაშრომის შემუშავებისა და შეფასების სისტემა დაწვრილებითაა გაწერილი პროგრამაში და კარგად ასახავს სწავლების დონის მიზნებს.

მათ შორის, პირველ და მეორე ეტაპზე ფორმალურ საკითხებს - რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებას, დისერტაციის რეზიუმეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

შემდეგ, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მსვლელობა, სადაც განსაზღვრულია ხელმძღვანელის, რეცენზენტის და სტუდენტის მოვალეობები და 100-ქულიანი შეფასების სისტემა, რომელიც აფასებს ნაშრომს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

I ეტაპი - ნაშრომის წარდგენის პროცედურა.

II ეტაპი - ნაშრომის წინასწარი განხილვა (დამტკიცება)

III ეტაპი - საჯარო დაცვა. ნაშრომის დაცვის პროცესი მოიცავს შემდეგ პროცედურებს.

IV ეტაპი - ნაშრომის შეფასება.

სილაბუსი ითვალისწინებს შეფასების სისტემას, სადაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა არის 30. ამასთანავე, შუალედური გამოცდის მაქსიმალური ქულაც არის 30 (2 შუალედური გამოცდა). ასევე, 10 ქულა განისაზღვრება სტუდენტის აქტივობის შესაფასებლად. მოქმედი წესით, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა შეიძლება იყოს არაუმეტეს 40. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამების სილაბუსები
- პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ მასწავლებლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

2.4.1 შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამებს მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას; ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო გზამკვლევობისა და ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხი.

#### 3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

ეს პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისაგან.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია სთავაზობს მახასიათებლების ყოვლისმომცველ კომპლექსს, რათა უზრუნველყოს სტუდენტები მათთვის საჭირო გზამკვლევობით. პროფესორები ადვილად ხელმისაწვდომი არიან გზამკვლევობის გასაწევად და სტუდენტებს შეუძლიათ ადვილად დაუკავშირდნენ მათ კურსთან დაკავშირებული შეკითხვებით. შენობა დაპროექტებულია უამრავი ფართის გათვალისწინებით, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტთან პროფესორის კონსულტაციებს, როგორც პირადად, ისე დისტანციური ონლაინ შეხვედრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობას. ეს დინამიური მიდგომა იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე და მხარდაჭერა მათი პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნოს, რომ შენობა თავისთავად არის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც სტუდენტებს აძლევს გამორჩეულ შანსს ისწავლონ და იმუშაონ სრულიად განსაკუთრებულ გარემოში.

სტუდენტები მაღალი შეფასებას აძლევენ ადმინისტრაციულ პერსონალს. როგორც ამჟამინდელი სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები აქებენ ადმინისტრაციულ გუნდს სწავლის დაწყებიდანვე მნიშვნელოვანი ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდებისათვის. გარდა ამისა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პერსონალი რეგულარულად აწვდის მათ ინფორმაციას მომავალი კონფერენციების, დასაქმების შესაძლებლობებისა და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ. კომუნიკაციის ეს პროაქტიული სტრატეგია საშუალებას აძლევს სტუდენტებს იყვნენ ინფორმირებულნი პოტენციური პერსპექტივების შესახებ და ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი მომავალი კარიერა.

აკადემია სტუდენტებს ასევე სთავაზობს შანსს ჩაერთონ საინტერესო ექსკურსიებში და სავლელ გასვლებში, გაიმდიდრონ თავიანთი სამეცნიერო ცოდნა და პრაქტიკული უნარები. ეს გამოცდილება ორმაგ უპირატესობას სთავაზობს პიროვნული და პროფესიული ზრდის

შესაძლებლობით, რაც კიდევ უფრო აფართოვებს მათ საგანმანათლებლო გეზს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს აქვთ მეტი ექსკურსიების და სავლე გასვლების მოლოდინი. ამიტომ მიზანშეწონილია აკადემიამ განიხილოს სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.

აკადემიის ბიბლიოთეკა აჩვენებს რესურსების მთელ რიგს, მათ შორის გაციფრულებულ წიგნებს და ავრცელებს წვდომას სხვა ბიბლიოთეკების მასალებზე, რაც ამდიდრებს სტუდენტების კვლევით და სასწავლო შესაძლებლობებს. თუმცა, სასწავლო პროგრამებისათვის ბიბლიოთეკის მნიშვნელობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით თეორიაზე დაფუძნებული პროგრამებისათვის, როგორცაა ხელოვნების ისტორია და თეორია, საკმარისი სივრცეა გაუმჯობესებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ როდესაც აკადემია შეძლებს ბიბლიოთეკის ახალ ადგილას გადატანას სარდაფში, ყურადღება დაეთმობა მის ატმოსფეროს - ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა პირადი სასწავლო სივრცეები და ონლაინ დაჯავშნის სისტემა (იხ. ქვესტანდარტი 4.4).

აკადემია ინარჩუნებს კონფერენციების მასპინძლობისა და შეგროვებული ნამუშევრების გამოქვეყნების შესანიშნავ პრაქტიკას, ხელს უწყობს სხვა დაწესებულებების გამოჩენილ მოღვაწეებთან ჩართულობას და სტუდენტური პუბლიკაციების წახალისებას. ეს ღონისძიებები იძლევა სწავლის ღირებულ შესაძლებლობებს. ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს შემოთვალისწინებებს იმის თაობაზე, რომ დოქტორანტების მონაწილეობა საზღვარგარეთის საერთაშორისო კონფერენციებში საკმაოდ დაბალია, რადგან ეს არსებითად მნიშვნელოვანი საქმიანობაა ახალგაზრდა მეცნიერებისთვის. თუმცა გვითხრეს, რომ აკადემიამ შემოიღო დებულება სტუდენტების მგზავრობის ხარჯების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, რაც ჩვენ ვითვალისწინებთ რომ გაზრდის ამ რაოდენობას და გაითვალისწინებს დოქტორანტების მიერ გამოკითხვაში წამოჭრილ საკითხს.

ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება) მაგისტრატურისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება) მაგისტრატურის ამჟამინდელი სტუდენტებისთვის გატარდა შესაბამისი გარდამავალი ღონისძიებები, რათა გადავიდნენ ახალ აკადემიურ ხარისხზე - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი - ქართული ხელოვნების ისტორია (მველი და თანამედროვე). ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ სტუდენტებს დასჭირდებათ დამატებითი კურსების გავლა, მაგრამ არ მოუწევთ ამისთვის გადასახადის გადახდა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავდება.

### **საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ არის საჭირო

#### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები და კურიკულუმები
- ინტერვიუები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან
- მოსწრების ფურცელი: გამოკითხვების ანალიზი
- ობიექტების დათვალიერება ადგილზე ვიზიტის დროს



**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

3.1.1 რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და საველე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელონ შესაძლო ცვლილებები.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ზედამხედველობის ჯეროვნად შესრულების საშუალებას.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების**

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტის მიდგომა სადისერტაციო პროცესების წარმართვის მიმართ არის მკაფიო და ყოვლისმომცველი. სტუდენტები ერთხმად იძლევიან პოზიტიურ გამოხმაურებას

ხელმძღვანელებთან ურთიერთობის შესახებ, იქნება ეს პირისპირ თუ ვირტუალური პლატფორმების მეშვეობით. ეს მტკიცებულება ხაზს უსვამს დაწესებულების ძლიერ საკომუნიკაციო არხებს, ასახავს გარემოს, სადაც სტუდენტები დარწმუნებულნი არიან თავიანთი მენტორებისგან გზამკვლევის მიღებაში.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტ/ხელმძღვანელთა თანაფარდობის მონიტორინგი ცხადყოფს დაწესებულების ერთგულებას ეფექტური აკადემიური ხელმძღვანელობის მიმართ. დადგენილი გაიდლაინების დაცვით, ეს პრაქტიკა იძლევა ძლიერი და ეფექტური გზამკვლევის პროცესის გარანტიას. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულმა სტუდენტებმა გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება აკადემიური პერსონალის მიერ შემოთავაზებული მნიშვნელოვანი დახმარებითა და ღირებული შეხედულებებით.

ცხადია, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს მტკიცე კვალიფიკაცია და მნიშვნელოვანი გამოცდილება სტუდენტების სწავლებისა და მხარდაჭერის საკითხებში. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევანი ეფუძნება მათ ღრმა გამოცდილებას შესაბამის სფეროებში, რაც ამაღლებს სტუდენტების ხელმძღვანელობის ხარისხს.

დოქტორანტებისადმი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მათი ნაშრომების გამოქვეყნება რეცენზირებად ჟურნალებში. გარდა ამისა, მათ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა გამოცემის ხარჯების დასაფარად, რასაც ორი მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. პირველ რიგში, ეს ეხმარება სტუდენტური კვლევის გავრცელებას უფრო ფართო სამეცნიერო საზოგადოებაში, ხელს უწყობს თანამშრომლობას და ცოდნის გაცვლას. მეორეც, ეს ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული რეპუტაციის ჩამოყალიბებას, ეხმარება მათ აკადემიურ და კარიერულ წინსვლაში.

<b>მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები მე-2 პროგრამა ხელოვნების ისტორია და თეორია</b>	
მაგისტრანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა	<b>11</b>
მაგისტრანტთა რაოდენობა	<b>21</b>
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	<b>0,52</b>

<b>მაგისტრანტთა/დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები</b>	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	<b>9</b>

დოქტორანტთა რაოდენობა	9
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	1

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამა და კურიკულუმი
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან**

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

**4.1. ადამიანური რესურსები**

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებიც ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტების დასახმარებლად საჭირო კომპეტენციებს.
- პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე შესაბამის კომპეტენციებს პროგრამის სასწავლო სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თსსა) არის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციალისტებს ამზადებენ 50-ზე მეტი წლის განმავლობაში. ამ წლების განმავლობაში საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ბუნებრივია, შეიმუშავა შესაბამისი მიდგომა და დამოკიდებულება ახალგაზრდა სპეციალისტების განათლების მიმართ და ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს კლასტერში შემავალ პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ კლასტერში შემავალ პროგრამებში ჩართული როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი მაღალკვალიფიციურია. მათ აქვთ მაღალი დონის კომპეტენცია თავიანთ სასწავლო სფეროში, რათა დაეხმარონ სტუდენტებს განათლებისა და სწავლის შედეგების მიღწევაში. როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა ფორუმში, მუშაობს სამეცნიერო სტატიებზე, სალექციო კურსებსა და სახელმძღვანელოებზე. ისინი ასევე რეგულარულად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, საერთაშორისო ფორუმსა და სამეცნიერო საგრანტო პროექტში, რომლებიც გამოცხადებულია როგორც ქართული, ისე უცხოური ფონდების მიერ. სხვადასხვა დონის სტუდენტებთან შეხვედრისას ბევრი მათგანი სიამაყით აღნიშნავს, რომ აქ, ამ აკადემიაში, ასწავლიან ის პროფესიონალები, რომლებიც საუკეთესოები არიან თავიანთ სფეროში და მათგან ფუნდამენტური ცოდნის გარდა კიდევ ბევრი საინტერესო გამოცდილების მიღება შეუძლიათ.

პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ოპტიმალურია საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სამივე დონის პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია. გარდა აკადემიური საქმიანობისა, ისინი ასევე აქტიურად არიან ჩართულნი ხარისხის უზრუნველყოფის მართვის პროცესებში აკადემიასა და ფაკულტეტზე.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი აკადემიის კურსდამთავრებულები არიან, რომლებიც სამუშაოდ დაბრუნდნენ ალმა მატერში. ინტერვიუების პროცესში შთამბეჭდავი იყო შეხვედრა მოწვეული პერსონალთან, რომლებმაც ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ურთიერთობა დაწესებულებასთან, კარგად ესმით რატომ და რისთვის არიან აქ.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

საბაკალავრო პროგრამა ხელოვნების ისტორია და თეორია სტუდენტებს აძლევს საბაზისო ცოდნას მსოფლიო და ქართული ხელოვნების შესახებ უძველესი დროიდან დღემდე. პროგრამა ასევე მოიცავს ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ცოდნას, ემსახურება ფორმის ანალიზის სახვითი საშუალებებისა და მეთოდების შესწავლას. ამ მიზნის მისაღწევად საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება სულ 92 საგანი (აქედან 53 არჩევითი), რომელთა განხორციელებაში ჩართულია 33 ლექტორი (იხ. ცხრილი). ამ კონტინგენტიდან საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობაში მონაწილეობას იღებს 17 ლექტორი.

**პროგრამა 1 ბაკალავრიატი<sup>7</sup>**

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი <sup>8</sup>	მათ შორის დარგის მიმართულეებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს <sup>9</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	13			
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	8	6	7	8
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	17		10	-
სამეცნიერო პერსონალი	3	2	2	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტს ჰქონდა ორი სამაგისტრო პროგრამა: ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორია (ორივე სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია 09.08.2012 წ.). ამ ორი პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სრულიად ახალი პროგრამა - ქართული ხელოვნების ისტორია (ძველი და თანამედროვე ხელოვნება), რომელშიც ეს ორი მიმართულება ორ კონცენტრაციად იქნა ჩართული. წინა პროგრამების ხელმძღვანელები გახდნენ ახალი პროგრამის თანახელმძღვანელები. მათი პირადი CV აჩვენებს, რომ ორივე მათგანს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო სფეროებში. წლების განმავლობაში ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტთან, მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

სამაგისტრო პროგრამაზე (ორივე კონცენტრაცია) სულ ისწავლება 49 საგანი და დასაქმებულია 32 ლექტორი. მათგან 10 არის თსსა აფილირებული პროფესორი (3 პროფესორი, 6 ასოცირებული

<sup>7</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

<sup>8</sup> ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>9</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), 2 მეცნიერ-მუშაკი, 20 მოწვეული პედაგოგი. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში მონაწილეობს ამ კონტინგენტიდან 11 ლექტორი.

<b>პროგრამა 2 მაგისტრატურა<sup>10</sup></b>				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი <sup>11</sup>	მათ შორის დარგის მიმართულეებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს <sup>12</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	10			
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	6	5	5	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	20		8	-
სამეცნიერო პერსონალი	2		2	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სადოქტორო პროგრამა უკვე მთლიანად კვლევაზეა ორიენტირებული. სულ სადოქტორო პროგრამაზე ისწავლება 10 საგანი და დასაქმებულია 15 ლექტორი, რომელთაგანაც აკადემიის 11 აფილირებული პროფესორი სადოქტორო პროგრამაზეა დასაქმებული; მათგან 3 პროფესორია, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 კი ასისტენტ-პროფესორი. გარდა ამისა, მათ შორისაა 3 მეცნიერ თანამშრომელი და 1 მოწვეული პედაგოგი. სამეცნიერო ხელმძღვანელობის უფლება აქვს 9 პროფესორს.

**პროგრამა 3 დოქტორანტურა<sup>13</sup>**

<sup>10</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.  
<sup>11</sup> ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი  
<sup>12</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს  
<sup>13</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.



პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი <sup>14</sup>	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს <sup>15</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	11			
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	7	7	6	7
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	1	1		-
სამეცნიერო პერსონალი	3	3	2	-

#### მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის სია
- ინგ. დანართი ინფორმაცია რაოდენობრივ მონაცემებზე\_კლასტერი\_30.09.2022წ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

<sup>14</sup> ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>15</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს



რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამეობა მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა-ში სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელის დამტკიცებას, არჩეული ნაშრომისა და სპეციფიკაციის მიხედვით, ახორციელებს ფაკულტეტის კომიტეტი. ამგვარად, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს გამოცდილება და პუბლიკაციები ამ სფეროში. თუ სტუდენტი ირჩევს კონკრეტულ თემას და ფაკულტეტს სჭირდება გამოცდილი ხელმძღვანელი, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ფაკულტეტი იწვევს გარე სპეციალისტს. მაგისტრანტებს, ისევე როგორც დოქტორანტებს უფლება აქვთ შეარჩიონ თავიანთი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმირების პროცესში, ხელმძღვანელობს ნაშრომის შემუშავებას, უზრუნველყოფს კონსულტირებას. დასკვნით პრეზენტაციაზე ხელმძღვანელი კომიტეტს წარუდგენს ნაშრომს (წერილობით და სიტყვიერად) და აცნობს მუშაობის მეთოდს.

მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუებისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობენ მათთან. გარდა ამისა, სამეცნიერო ხელმძღვანელები ხშირად რთავენ ამ სტუდენტებს დაფინანსებულ ან გაცვლით პროექტებში, რაც სტუდენტებისთვის დამატებითი გამოცდილებაა.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

აკადემიამ შეიმუშავა გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო ხელმძღვანელებისადმი/თანახელმძღვანელებისადმი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დონის საჭიროებებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას.

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი 32 აკადემიური პერსონალიდან 11 აკმაყოფილებს ხელმძღვანელისადმი მოთხოვნებს.

მაგისტრანტებს უფლება აქვთ აირჩიონ ხელმძღვანელები თავიანთი შეხედულებისამებრ. აკადემიის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს გამოცდილება და პუბლიკაციები სამაგისტრო ნაშრომის სფეროში. სამეცნიერო ხელმძღვანელი კურირებს მაგისტრატურის სტუდენტების ინდივიდუალური გეგმის სტრუქტურას და აკონტროლებს შეთანხმებული გეგმის შესრულებას. მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს პროფესორი ან მეცნიერი პარტნიორი უნივერსიტეტიდან ან სამეცნიერო დაწესებულებიდან, რომელთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება ან რომელთანაც ერთობლივად შეიმუშავა რესტავრაციის/კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია რეგულარულად გაუწიოს კონსულტაცია მაგისტრანტს. სამეცნიერო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კონსულტაციების სიხშირეს განსაზღვრავენ ხელმძღვანელი და მაგისტრანტი. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით ან სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებითა და მონოგრაფიებით.

სტუდენტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა რეგულირდება აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამაგისტრო პროგრამის დებულებით. შესაბამისად, აღნიშნული დებულების თანახმად ხელმძღვანელს ასევე შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი.

<b>პროგრამა 2 მაგისტრატურა<sup>16</sup></b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები<sup>17</sup></b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>11</b>	<b>10</b>	<b>9</b>
<b>პროფესორი</b>	3	3	3
<b>ასოცირებული პროფესორი</b>	5	4	5
<b>ასისტენტ-პროფესორი</b>	1	1	1
<b>მოწვეული პერსონალი</b>			–
<b>სამეცნიერო პერსონალი</b>	2	2	–

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

დოქტორანტის ხელმძღვანელის დანიშვნისა და აკადემიაში მისი უფლება-მოვალეობების განაწილების საკითხი რეგულირდება რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო (დოქტორანტურის) და სადისერტაციო საბჭოს დირექტივებით. დებულების თანახმად, ფაკულტეტი დოქტორანტს უნიშნავს სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორის აკადემიურ ხარისხით - აკადემიის დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს სამეცნიერო გამოცდილება და პუბლიკაციები სამეცნიერო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს კონსულტირებას დოქტორანტს. ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელშეკრულება, სამეცნიერო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს კონსულტაციების სიხშირეს. ეს უნდა იყოს მინიმუმ 4 კონსულტაცია წლის განმავლობაში.

<sup>16</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

<sup>17</sup> სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

დოქტორანტებს შეიძლება ჰყავდეთ თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს პროფესორი ან მეცნიერი პარტნიორი უნივერსიტეტიდან, რომელთანაც თსსა-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება ან რომელთანაც რესტავრაციის/კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტმა ერთობლივად შეიმუშავა სადოქტორო პროგრამა.

რეგულაციების თანახმად, თითოეულ პროფესორს შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 3 დოქტორანტი, რაც დადებითად აისახება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი 15 აკადემიური პერსონალიდან 9 აკმაყოფილებს ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ესენი არიან დღეისათვის საქართველოში მოქმედი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი მკვლევარები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ფორუმებსა და პროექტებში და აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემებში.

ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად არის ასახული 2019-2021 წლებში წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციების ჩამონათვალში და სამეცნიერო ხელმძღვანელების პირად მონაცემებში.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადოქტორო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადოქტორო საბჭოს წევრი.

დოქტორანტს უფლება აქვს აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს დოქტორანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და ამ გეგმის განხორციელება/შესრულებაში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხელმძღვანელი აკეთებს ანგარიშს დოქტორანტთან მის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

დოქტორანტების ხელმძღვანელობაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით, სამეცნიერო სტატიებითა და სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული მონოგრაფიებით.

<b>პროგრამა 3 დოქტორანტურა<sup>18</sup></b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები<sup>19</sup></b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების</b>	<b>9</b>	<b>9</b>	<b>8</b>

<sup>18</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

<sup>19</sup> სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

ხელმძღვანელთა რაოდენობა			
პროფესორი	3	3	3
ასოცირებული პროფესორი	5	5	5
ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი	1	1	–

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- სამაგისტრო პროგრამის დირექტივები
- სამაგისტრო პროგრამის პერსონალის სია
- სადოქტორო პროგრამის პერსონალის სია
- ინტერვიუები მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- აკადემიური პერსონალის CV-ები
- წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომების სია
- წარდგენილი სადოქტორო ნაშრომების სია
- მაგისტრატურის დებულება
- სამაგისტრო პროგრამის პერსონალის სია

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** არ არის მითითებული

**პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე (არ ეხება)**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამეობა მოთხოვნებს
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია მუდმივად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აკადემიაში მიმდინარეობს პროფესიული განვითარების აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევით საქმიანობასთან და ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტებთან. ისინი ტარდება სემესტრში ერთხელ მაინც. ტრენინგები საკმაოდ მრავალფეროვანი ხასიათისაა და ისინი ხელს უწყობს პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ჩატარდა არაერთი ტრენინგი ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან წვდომისა თუ სამეცნიერო პროფილის შექმნის მიმართულებით. როგორც აკადემიური პერსონალის წევრებმა აღნიშნეს ინტერვიუში, ტრენინგების შესახებ ინფორმაციას რეგულარულად იღებენ ელექტრონული ფოსტით.



აკადემიაში არსებულმა სამეცნიერო დეპარტამენტმა შეიმუშავა სპეციალური შესავსები ფორმა, რომლის მიხედვითაც ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა. 2019 წლიდან აკადემიაში ევროკომისიის თანადაფინანსებითა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პარტნიორობით ხორციელდება პროექტი PROFFORMANCE Assessment Tool and Intensive Systems for Developing Higher Education Teachers' Performance (პროექტის ვებგვერდი - <https://profformance.eu/>). პროექტი ითვალისწინებს უმაღლეს საფეხურზე სწავლებაში ჩართული პერსონალის თვითშეფასების ინსტრუმენტისა და წახალისების სისტემის შემუშავებას. აღნიშნული პროექტი ევროპის 6 ქვეყანაში ხორციელდება. PROFFORMANCE-ის პროექტის გუნდმა უკვე შეიმუშავა უმაღლეს სასწავლებლებში ჩართული პერსონალისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტის საწყისი ვერსია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროექტის მიმდინარე ეტაპზე იგეგმება ამ ინსტრუმენტის პილოტირება. აკადემია ჩართულია აღნიშნული პროექტის პილოტირების პროცესში.

აკადემია ხელს უწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებში (Erasmus+, DAAD და ა.შ.), ასევე ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. ინტერვიუში რექტორმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არის თანხები უახლოეს წლებში ამ სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად.

აკადემიამ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც აკადემიური პერსონალი ჩართულია პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში. აკადემიის აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სწავლის/სწავლების და სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო პრაქტიკას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორობის ფარგლებში მოწვეული არიან უცხოელი კოლეგები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, რომლებიც ატარებენ ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებს აკადემიის სტუდენტებისთვის და უზიარებენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას. ინფორმაცია პარტნიორების მსგავსი ვიზიტების შესახებ ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე.

### **საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ არის საჭირო

#### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აკადემიის ვებგვერდი
- ინტერვიუები უნივერსიტეტის კანცლერთან,
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ტრენინგების ჩამონათვალი
- <https://profformance.eu/>

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.4. მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიას ეკუთვნის უნიკალური შენობა, რომელიც 1850-იან წლებში აშენებული სასახლეა. ამ სასახლეში XIX საუკუნეში მდებარეობდა კავკასიური საზოგადოების ბიბლიოთეკა, რომლის იშვიათი წიგნების კოლექცია დაცულია სამხატვრო აკადემიაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის. ბიბლიოთეკის ფონდში წიგნების სახით შედის გიორგი ჩუბინაშვილის, გიგო გაბაშვილის და პოლონელი მხატვრის ჰენრიკ ჰრინვესკის პირადი ბიბლიოთეკებიც. საერთო ჯამში, აკადემიის ბიბლიოთეკას აქვს 35000-ზე მეტი წიგნი, მათ შორის უნიკალური აღბომები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ნახატებით, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებზე, დიზაინსა თუ არქიტექტურაზე, ასევე



მხატვრული და სპეციალური საცნობარო ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე (ქართული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, ჩინური, სპარსული და სხვა).

Covid-19-ის გლობალური პანდემიის დროს თითქმის ყველა წიგნი გაციფრულებული იქნა და ამ ეტაპზე 24000-მდე პუბლიკაცია უკვე აიტვირთა ბიბლიოთეკის გვერდზე, რომელიც მიზნულია აკადემიის ოფიციალურ ვებსაიტზე და რომელზე წვდომა მარტივადაა შესაძლებელი იქ განთავსებული თემატური ბმულის საშუალებით. ამავე პერიოდში გაციფრულდა იშვიათი გამოცემების ფონდი, რომელიც თითქმის 150 წლის მანძილზე ერთგვარ „მიძინებულ კოლექციას“ წარმოადგენდა. ამ ფონდში შემავალი წიგნების გამოფენა პირველად 2022 წელს, აკადემიის 100 წლის იუბილეზე გაიმართა. დღეისათვის ეს იშვიათი გამოცემები ციფრული ფორმატით ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ჟურნალ „ივერიელში“, რომელზეც გადასვლა მარტივია აკადემიის ბიბლიოთეკის გვერდზე არსებული ბმულით.

ბიბლიოთეკაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ფეისბუქის ჯგუფები გამოიყენებოდა ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოერიდონ ფეისბუქის ჯგუფებს ელექტრონული რესურსების გასავრცელებლად და იძლევა რჩევას, რომ ფეისბუქი არ გამოიყენებოდეს ამ მიზნის პლატფორმად მომავალში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოქნილობისა და ონლაინ რესურსების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც შეიძლება მალე უნდა დაინერგოს ონლაინ შეკვეთის სისტემა. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს შეიტყო, რომ აკადემია ამაზე უკვე მუშაობს.

სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს აკადემიის ბიბლიოთეკის მუშაობას, თუმცა აღნიშნავს, რომ სასურველია მეტი ქართულენოვანი პროფესიული ლიტერატურის არსებობა. უმაღლესი მენეჯმენტის გუნდთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ცნობილი გახდა, რომ აკადემია ცდილობს ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალი გარკვეულწილად წახალისოს. კერძოდ, უმაღლესი მენეჯმენტის გუნდი აქტიურად თანამშრომლობს კულტურის სამინისტროსთან. უკვე შემუშავებულია ორი პროექტი, რომელთა ფარგლებშიც არსებული სახელმძღვანელოები განახლდება და გამოიცემა. ასევე მიმდინარეობს მუშაობა უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნაზე. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და მათ მიერ ინიცირებულ თარგმანის დაფინანსების პროექტთან. ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს საშუალება ჰქონდა თავად ენახა ამ თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი პუბლიკაციები. წიგნადი ფონდის განახლების კიდევ ერთი გზაა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობა მონოგრაფიების გამოცემის მიმართულებით. თუმცა, ალბათ, სასურველი იქნებოდა აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ნაშრომების მეტი პოპულარიზაცია და ფართო საზოგადოებისთვის მეტა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დადებითია, რომ აკადემიის სტუდენტებისა და თანამშრომლების გარდა, ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ყველა დაინტერესებულ პირს.

სამეცნიერო ბაზები, საერთაშორისო ციფრული ბიბლიოთეკები და სამეცნიერო პლატფორმები ჩართულია და დისტანციურად ხელმისაწვდომია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, მათ შორის Elsevier's Science Direct, Scopus, Bielefeld Academic Search Engine BASE, Education Resources Information Center, Perlego International Library, Academic Research Sharing

Platform ACADEMIA და სხვ. ელექტრონული ბაზების განახლების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე. აკადემიის ყველა თანამშრომლისთვის, ისევე როგორც ყველა დონის სტუდენტისთვის, მონაცემთა ბაზებზე წვდომა შესაძლებელია როგორც დაწესებულებიდან, ისე მის გარეთ ნებისმიერი ადგილიდან.

აკადემიას ასევე აქვს უნიკალური მუზეუმი, სადაც ინახება ქართული ხელოვნების 6000-ზე მეტი ნიმუში. მუზეუმში დაცული ექსპონატები მზა სასწავლო-კვლევითი მასალაა ხელოვნების ისტორიის სტუდენტებისათვის. მუზეუმში დაცული ყველა ექსპონატი ჩაწერილია და შეტანილია კატალოგში.

ამ ეტაპზე აკადემიის შენობაში, სადაც ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აუდიტორიებია განთავსებული, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ აკადემია სამინისტროსგან მიიღებს საკმარის თანხას, რათა დაასრულოს შენობების რეკონსტრუქცია და აკადემიამ საბოლოოდ მიიღოს მისი პოზიციის შესაბამისი კეთილმოწყობილი აუდიტორიები, მით უმეტეს, რომ ლექტორებმა გამოვითხვაში აღნიშნეს, რომ ტექნიკურ აღჭურვილობას ესაჭიროება განახლება. ექსპერტთა ჯგუფი ასევე იმედოვნებს, რომ ახალი ბიბლიოთეკის სივრცე მოეწყობა ისე, რომ ის მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

პროგრამებს გაზიარებული აქვთ შესაძლებლობები, თუმცა 1000 ლარი წლიურ ბიუჯეტში გამოყოფილია საბაკალავრო პროგრამისათვის დამატებითი საბიბლიოთეკო რესურსის შესაძენად. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ აკადემიის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური წიგნები და მოწინავე მასალები. სტუდენტებს შეუძლიათ აკადემიის მუზეუმში დაცული არტეფაქტების კვლევა, თუმცა მხოლოდ საგნის ლექტორის ან დისერტაციის ხელმძღვანელის დაკვირვების ქვეშ, დასწრებითა და ხელმძღვანელობით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

პროგრამებს გაზიარებული აქვთ შესაძლებლობები, თუმცა 1000 ლარი წლიურ ბიუჯეტში გამოყოფილია სამაგისტრო პროგრამისათვის დამატებითი საბიბლიოთეკო რესურსის შესაძენად. პროგრამის მაგისტრანტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკასა და მუზეუმში დაცული რესურსებით. მაგისტრანტებს შეუძლიათ მათი გამოიყენება პრაქტიკული სწავლების და სადიპლომო კვლევის დროს. ბაკალავრიატის სტუდენტებისაგან განსხვავებით, მაგისტრატურის სტუდენტებს აქვთ მეტი მოქნილობა და თავისუფლება: კვლევის დროს მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად იმუშაონ არტეფაქტებთან მრჩეველის ხელმძღვანელობის გარეშე.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

პროგრამებს გაზიარებული აქვთ შესაძლებლობები, თუმცა 2000 ლარი წლიურ ბიუჯეტში გამოყოფილია სადოქტორო პროგრამისათვის დამატებითი საბიბლიოთეკო რესურსის შესაძენად. დოქტორანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ყველა სახის მატერიალური რესურსი ბიბლიოთეკიდან და მუზეუმიდან სწავლის პერიოდში და სადოქტორო დისერტაციის წერისას. გარდა ამისა, მათ

ენიჭებათ მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა სხვადასხვა დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომების შესამუშავებლად, ვიდრე მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებს.

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში და დისკუსია ბიბლიოთეკარებთან
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- დანართი 5. სსიპ-ხელოვნების ისტორია-ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/დოქტორანტურა

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

4.4.1 მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ზაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აკადემიის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან. თავისი სტატუსიდან გამომდინარე, სამხატვრო აკადემია ყოველწლიურად იღებს სუბსიდიებს კულტურის სამინისტროსგან, რაც თითქმის იმდენია, რამდენსაც იღებს აკადემია სწავლის საფასურიდან. როგორც ბიუჯეტშია წარმოდგენილი, მხოლოდ მცირე შემოსავალი მიიღება კვლევითი გრანტებიდან.

როგორც სტუდენტების მიღების დინამიკა გვიჩვენებს ბოლო 5 წლის განმავლობაში საბაკალავრო დონეზე აკადემია იღებს სტუდენტებს თითოეულ ვაკანტურ ადგილზე, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე სტუდენტების რაოდენობა მცირდება. თუ ტენდენცია იგივე დარჩა, ამან შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე მომავალში.

კლასტერში მოცემულია თითოეული სასწავლო პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი, თუმცა, ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალის ხელფასები პროგრამის ბიუჯეტში არ შედის. ეს განმარტეს იმით, რომ იგი გათვალისწინებულია აკადემიის ცენტრალურ ბიუჯეტში. ამ მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მთავარი ბიუჯეტის დოკუმენტი, საიდანაც გაირკვა, რომ ხარჯები ჭარბობდა შემოსავლებს. გადახარჯულია თითქმის ნახევარი მილიონი ლარი. ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ ბიუჯეტის დაგეგმვამ გაითვალისწინოს გადაჭარბებული ხარჯვის რისკები და მისი შესაძლო გავლენა პროგრამების ფინანსურ

მდგრადობაზე. გარდა ამისა, რეკომენდებულია შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები), რათა მეტი გარე ფინანსური რესურსი იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და პედაგოგების საქმიანობის მხარდასაჭერად.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბაკალავრიატი)**

2023 წლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი შემოსავალი სტუდენტების სწავლის საფასურია. ხარჯები იყოფა ხელფასებად და სხვა მომსახურებად, როგორცაა სტუდენტური კონფერენციები, კვლევითი აქტივობები, თანხები საბიბლიოთეკო კოლექციების განახლებისათვის. ამ პროგრამის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებობს დადებითი ბალანსი.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მაგისტრატურა)**

როგორც სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის გეგმიდან ჩანს, შემოსავალი მოდის მხოლოდ სტუდენტების სწავლის საფასურიდან. ხარჯები მოიცავს როგორც მოწვეული პერსონალის ხელფასს, ისე სტუდენტების მონაწილეობას კონფერენციებში, საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას. მიმდინარე ბიუჯეტს აქვს დადებითი ბალანსი შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (დოქტორანტურა)**

სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტს აქვს კლასტერში მოცემული პროგრამების მსგავსი სტრუქტურა. ძირითადი შემოსავალი სტუდენტების სწავლის საფასურია და ხარჯები მოდის მოწვეული პერსონალის ხელფასებზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და საბიბლიოთეკო რესურსებზე. არსებობს დადებითი ბალანსი შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

### **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- ხელოვნების ისტორიის კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტი
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან და აკადემიის უფროს მენეჯმენტთან
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

4.5.1 რეკომენდებულია ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.

4.5.2 რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების

გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

**პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე**

**რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**რჩევები:** არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და ფინანსური სტაბილურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნე ო კვლევები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის შემუშავებისთვის.

**5.1. ხარისხის შიდა შეფასება**

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემია პრიორიტეტს ანიჭებს ხარისხის საკითხებს და პროგრამა იღებს ვალდებულებას განავითაროს კულტურა და პრაქტიკა, რომელიც გამოიყენებული იქნება ხარისხის ეფექტიანი უზრუნველყოფისა და მართვისათვის. შეფასების ეს სფერო ფოკუსირებულია სწავლების, სწავლის, შეფასების და კვლევის პოლიტიკაზე, ორგანიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე.



მისიას წარმოადგენს თითოეული პროგრამის დონეზე სრულყოფილების, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მიზნების მიღწევა. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფას, როგორც განმარტებითი თვითშეფასების პროცესებს.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეკისრება აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მომსახურების შეფასებების ჩატარება. ეს სამსახური ასევე ახდენს კითხვარების დაგზავნას დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისათვის. სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში გამოკითხვის ფორმების შევსებითა და აკადემიისათვის გამოხმაურების მიწოდებით. შეგროვებული მონაცემები ანალიზდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და შემდეგ იგეგმება შემდგომი ნაბიჯები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა, რომ მთელი პერსონალი მონაწილეობს თვითშეფასებებში და თანამშრომლობს ანგარიშგებისა და გაუმჯობესების პროცესებთან მათი საქმიანობის სფეროში.

ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ შეფასების პროცესების მართვის გარდა, ისინი პასუხისმგებელი არიან პროგრამის შემუშავებაზე და კურსების სილაბუსების შემუშავების მხარდაჭერაზე, კურსებში შეფასების მეთოდების დიზაინზე და კურსის ფარგლებში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგზე. აკადემიურმა პერსონალმა დადასტურა, რომ დახმარება, რომელსაც იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდისაგან, ორიენტირებულია მათ პროფესიულ განვითარებაზე. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უზრუნველყოფს როგორც საჭირო სტანდარტების დაცვას, ასევე შესრულების მუდმივ გაუმჯობესებას.

ამ კლასტერში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში გამოიყენება სტანდარტული მიდგომები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისადმი. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მუშაობს ციკლის „დაგეგმვა, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ მსგავსად. ეს პროცესი მოიცავს როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე სტუდენტების გამოკითხვის ფორმების ანალიზს.

პროგრამების თვითშეფასების გუნდები მოიცავენ როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს ფაკულტეტის დონეზე და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მომსახურებებს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში. როლები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების მიხედვით.

დაწესებულებამ შეიმუშავა რეკომენდაციები გადაუდებელი დისტანციური სწავლების/ონლაინ სწავლების თაობაზე და იგი მიეწოდა როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს. ადგილობრივი კანონმდებლობის წესების გამო, ონლაინ სწავლება უკვე დაუშვებელია. შესაბამისად, ამჟამად არც ერთი პროგრამის ფარგლებში არ არსებობს ონლაინ კურსები. თუმცა, თუ საგანგებო სიტუაცია შეიქმნა, დაწესებულებას შეუძლია ზომების მიღება.

### **საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ არის საჭირო

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლების, დამსაქმებლების კითხვარები/გამოკითხვები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი და გამოხმაურებები
- კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტის პროფილები, სტუდენტის პროგრესი, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება მათი პროგრამით, ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ და ა.შ.)
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით.
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 ხარისხის შიდა შეფასება პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამებს მოთხოვნებს
1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 5.2. ხარისხის გარე შეფასება

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების

#### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკადემიამ შეიმუშავა რეკომენდაციები გადაუდებელი დისტანციური სწავლების/ონლაინ სწავლების თაობაზე და იგი მიეწოდა როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს. ადგილობრივი კანონმდებლობის წესების გამო, ონლაინ სწავლება უკვე დაუშვებელია. შესაბამისად, ამჟამად არც ერთი პროგრამის ფარგლებში არ არსებობს ონლაინ კურსები. თუმცა, თუ საგანგებო სიტუაცია შეიქმნა, დაწესებულებას შეუძლია ზომების მიღება.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, უნივერსიტეტი მუშაობს ორ ძირითად განზომილებაში, როდესაც საქმე ეხება კლასტერში მოცემული პროგრამების ხარისხის გარე შეფასებას. პირველი არის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა პროგრამების მიმართ პროგრამული და ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესში და მეორე არის გარე რეცენზენტები, რომლებიც ჩართულნი არიან შეფასების პროცესში.

კლასტერში მოცემული პროგრამები ადრე აკრედიტებული იყო 2011-2012 წლებში. მას შემდეგ სამაგისტრო პროგრამა შეიცვალა სტრუქტურულად. ადრე ეს იყო ორი პროგრამა, მაგრამ ახლა მას სთავაზობენ როგორც ერთ პროგრამას, რომელსაც აქვს ორი კონცენტრაცია. ამ ცვლილების გამო სტუდენტებს ახალი პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად შესთავაზეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გარდა ამისა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის ცვლილების გამო, ყველა პროგრამა შეიცვალა თავისი მიზნებითა და სწავლის შედეგებით, რათა დაეკმაყოფილებინა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

რაც შეეხება გარე კოლეგიალურ შეფასებას, კლასტერში მოცემული პროგრამები შესაფასებლად გაეგზავნა ბათუმის სამხატვრო კოლეჯს (რეგიონული სამხატვრო საგანმანათლებლო დაწესებულება). როგორც შეფასების ანგარიშებიდან ჩანს, შეფასება ძირითადად დადებითია და არ ასახავს რაიმე რეკომენდაციას ან რჩევას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარე შეფასების აღნიშნული მოდელის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია გარე კოლეგიური შეფასების განხორციელება წინასწარ განსაზღვრულ ინტერვალებში და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა რაიმე რჩევის და/ან რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

ამას გარდა, უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, იგი ყოველწლიურად ექვემდებარება საქართველოს კულტურის სამინისტროს აუდიტს. აუდიტი მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე შინაარსობრივ ასპექტებს.

### საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არაა საჭირო

### მტკიცებულება/ინდიკატორები

- ხელოვნების პროგრამის კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- გარე შეფასების ანგარიში ბათუმის სამხატვრო კოლეჯის მიერ
- ინტერვიუები აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

5.2.1 სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 5.2 ხარისხის გარე შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამებია მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები, მე-8 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, შესაწავლისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

## კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი იყო, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამის მონიტორინგში და რომ პერიოდული მიმოხილვა ტარდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის გზით. ეს დაუდასტურდა ექსპერტთა ჯგუფს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებისას. დოკუმენტი „ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და ხარისხის შედეგების გამოყენების ანგარიში“ ნათლად ასახავს მონაცემთა შეგროვებისა და შეჯერების მეთოდებსა და მექანიზმებს, ტენდენციების ანალიზს, აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს როლსა და პასუხისმგებლობებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი. დოკუმენტში მოცემულია გამოკითხვების შედეგად წარმოქმნილი საკითხების მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც განხილული იქნა.

სტუდენტებთან გამართულ ორ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა კითხვარებისა და გამოკითხვების საშუალებით შეძლო განეხილა შეფასების პროცესი, რომელიც ტარდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და ცხადი გახდა, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან ამ სავალდებულო პროცესში. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა შეძლეს თავიანთი პასუხების პირდაპირ შედეგად მათ სწავლებაში განხორციელებული ცვლილებების მაგალითის მოყვანა და ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ გამოიყენებენ პროფესორის მუშაობის კომენტარების პროცესს იმისათვის, რათა პროფესორმა მოახდინოს მათი სწავლების რაღაცნაირად შემსუბუქება. სტუდენტებმა ასევე ისაუბრეს მრგვალი მაგიდის როლზე სასწავლო პროგრამის გამოცდილების არაფორმალურად გაზიარებაში. სტუდენტები ასევე წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტის საბჭოში. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ხდება მონიტორინგისა და პროგრამის შეფასების შედეგების, პროგრამის ეფექტიანობის კომპლექსური ინდიკატორების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო გაცნობოდა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების შეფასების შედეგებს, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობას დოკუმენტში „კვლევა დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის თანამშრომლობის შესახებ“. ექსპერტთა გუნდი დარწმუნდა, როცა იხილა ამ გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული, მიდევნებული და გადაწყვეტილი რეკომენდაციის მტკიცებულების ნიმუში, რომელიც ეხებოდა დოქტორანტების კვლევის დასაფინანსებლად, მათი სამეცნიერო ექსპედიციების ხარჯების დასაფარად და სხვა საჭიროებებისათვის თანხების გამონახვას. ეს საკითხი განხილული იქნა რექტორთან, დეკანთან, კვლევის ხელმძღვანელთან და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე, დოქტორანტების კვლევასთან დაკავშირებული მგზავრობისა და სხვა ხარჯების გამოყოფის კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ კლასტერის შემუშავების ფარგლებში, ორი გადამუშავებული და ერთი ახალი პროგრამა შედარებულია უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და თსსა-სა და უცხოურ სამეცნიერო და კვლევით ცენტრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს ამ შედარებითი მეთოდის გამარტივებას. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ კლასტერში არსებული სამი პროგრამა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ შეიცვლება/ადაპტირდება 2023/24 სრული სასწავლო წლის წლის დასრულების შემდეგ.



ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა ინფორმაცია სწავლების შეფასების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით წინასწარ განსაზღვრული საკლასო დაკვირვების შაბლონის გამოყენებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნეს, რომ კოლეგების მიერ საკლასო დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს, თუ ეს ჩაითვლება საჭიროდ.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

არ არის საჭირო

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- თსსა, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, 2022 წლის პირველ სემესტრში ჩატარებული დოქტორანტების გამოკითხვის ანგარიში.
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და ხარისხის შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (სერვისის) პერსონალთან

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** არ არის მითითებული

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის ამ კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია, მე-6 დონე	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა,	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელოვნების ისტორია  
და თეორია, მე-7 დონე  
პროგრამა 3  
დოქტორანტურა.  
სახელოვნებათმცოდნეო  
კვლევები, მე-8 დონე

x

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონეები:

ხელოვნების ისტორია და თეორია (საბაკალავრო პროგრამა)

ქართული ხელოვნების ისტორია (ძველი და თანამედროვე ხელოვნება) (სამაგისტრო პროგრამა)

სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია) (სადოქტორო პროგრამა)

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან



შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 ბაკალავრიატი, ხელოვნების ისტორია და თეორია	მეტწილად შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა
პროგრამა 2 მაგისტრატურა, ხელოვნების ისტორია და თეორია	მეტწილად შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა
პროგრამა 3 დოქტორანტურა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევები	მეტწილად შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა	შესაბამისობაში ა

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

დოქ. სარა ბენეტი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თამთა თურმანიძე, ხელმოწერა

გიგა ხოსიტაშვილი, ხელმოწერა

ლევან სილაგაძე, ხელმოწერა

გიორგი ბერიძე, ხელმოწერა